ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოჯფბ-რდბჰფ

@* 2 @( bdkbcb7 @)!@ | 1178 (5868) | afcb5 #) stshb

@*ბდ ბცბლფყ
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
აგათა კრისტი
სიკვდილის ღრუბლებში
წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი



# რამდენი მილიონი გადაუხადა აგვისტოს ომში საქართველოს ხელისუფლებამ გენერალ ბორისოვს?



გვ.4



## ხიზრი ალდამოვი: ქვანია, პატარკაციშვილი და რომან დუმბაძე სააკაშვილის დავალებით მოკლეს“

გვ.3

## გელა ნიკოლეიშვილი: არჩევნებამდე ყველას და ყველაფერს დააყადაღებენ“



გვ.2

## ნინო ბურჯანაძე ბიძინა ივანიშვილთან ფარულ შეხვედრას უარყოფს

გვ.2





## თეთრები“ ზაზა სოფრომაძის დაკავებას ხელისუფლების შიშის გამოხატულებად მიიჩნევენ

გვ.2



## გია ცაგარეიშვილი: კალაძის ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანება სააკაშვილმა პირად გამოწვევად მიიღო“

გვ.2

## მამუკა კაციტაძე ამომრჩეველთა ლიგის“ წინააღმდეგ

რას ვერ იყოფენ საარჩევნო სიების გადამმოწმებლები

გვ.6



## მეცხრე არხის“ ჟურნალისტს აშანტაჟებდნენ

გვ.3

ISSN 1987-9385

4 ივლისიდან
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ვფბბც ბცნჯკბფ
!) კფჰბ



## გია ცაგარეიშვილი: კალაძის ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანება სააკაშვილმა პირად გამოწვევად მიიღო“

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრის, დეპუტატ გია ცაგარეიშვილის შეფასებით, ფეხბურთელის კახი კალაძის „ქარ-



თულ ოცნებაში“ გაწევრიანებას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირად გამოწვევად აღიქვამს.

როგორც ცაგარეიშვილმა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტნის კახი კალაძის საბანკო ანგარიშების დაყადაღების შეფასებისას აღნიშნა, ხელისუფლება ოპოზიციასთან მიმართებაში ბანდიტურ ქმედებებს აგრძელებს.

„აყადაღებენ ყოფილი სპორტსმენის ანგარიშებს, რომელიც მთელი ცხოვრება თავისი სპორტული მიღწევებისთვის მრავალმილიონ გასამრჯელოს იღებდა. ამ ადამიანის შემოსავალი ეჭვქვეშ არ დამდგარა ევროკავშირის ქვეყნებში, მათ შორის იტალიაში“ – აღნიშნა ცაგარეიშვილმა „ნიუსპრესთან“ საუბრისას და დასძინა, რომ კალაძის ანგარიშების კანონიერების „ეჭვქვეშ დაყენება“ რატომაც ხდება საქართველოში ყველამ იცის.

მისივე თქმით, ხელისუფლებას პანიკური შიში აქვს კალაძის მსგავსი მებრძოლი ადამიანების, რომლებიც ხალხში შეულახავი ავტორიტეტით სარგებლობენ.

„მიხეილ სააკაშვილმა კალაძის მიერ გაკეთებული პოლიტიკური განცხადებები, „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანება, ივანიშვილის მხარდაჭერა პირად გამოწვევად მიიღო და სწორედ მისი ბრძანებით ხდება ყველაფერი“ – აღნიშნა ოპოზიციონერმა დეპუტატმა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის კახა კალაძის საქართველოში არსებულ საბანკო ანგარიშებს, 25 ივლისს საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის გადაწყვეტილებით ყადაღა დაედო. ადვოკატის შალვა თადუმაძის განცხადებით, კალაძეს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში ედება ბრალი.

ნიუსპრესი

## ნინო ბურჯანაძე ბიძინა ივანიშვილთან ფარულ შეხვედრას უარყოფს



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერთან ბიძინა ივანიშვილთან ფარულად შეხვედრა უარყო.

ამის შესახებ ბურჯანაძემ „დემოკრატიული მოძრაობის“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„პოლიტიკოსი ვარ და არ არის პრობლემა, რომ ვინმეს შევხვდე. გასაკვირი ის არის, რომ ვერ ვხვდებით და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ვერ ვსაუბრობთ.მე არაფერი მაქვს დასამალი და ბიძინა ივანიშვილს რომ შევხვედროდი, ამის შესახებ თქვენც გაიგებდით“ – განუცხადა ჟურნალისტებს ბურჯანაძემ.

მისი თქმით, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ ოპოზიციური პარტიების ლიდერები და პოლიტიკოსები ერთმანეთს ხვდებოდნენ.

ბურჯანაძისა და ივანიშვილის ფარული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ ინტერნეტმედიაში გავრცელდა.

ნიუსპრესი

# გელა ნიკოლეიშვილი: არჩევნებამდე ყველას და ყველაფერს დააყადაღებენ“

ნონა ცაბაძე

**გუშინ, გამთენიისას, ყოველგვარი ახსნა–განმარტების გარეშე სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული რამდენიმე ათეული პოლიციელი შეიჭრა დემოკრატიული მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრის ზაზა სოფრომაძის ოჯახში და დააკავა. ზაზა სოფრომაძის ოჯახის წევრები და მისი ადვოკატი მთელი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ სოფრომაძის ადგილსამყოფელის დადგენას. „ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მის ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილს ესაუბრა**

***– როგორ ფიქრობთ, რატომ დააკავეს ზაზა სოფრომაძე? ამას საფუძვლად პოლიტიკური სარჩული უდევს?***

– რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური ზეწოლაა, როდესაც 7 და 8 წლის წინანდელ ამბებზე დღეს აიძულებენ ადამიანებს, მის წინააღმდეგ ჩვენებები მისცენ, მით უმეტეს, ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ზაზა სოფრომაძე უკვე არის გასამართლებული და ერთსა და იმავე დანაშაულზე ორჯერ გასამართლება საერთოდ არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. ისეთი სულელები არ არიან, რომ მეორედ იმავე დანაშაულზე გაასამართლონ, მაგრამ, ალბათ, რაღაც ახალს იგონებენ.

***– ხელისუფლების უკანონობა ყოველგვარ საზღვარს სცდება. რის მიღწევას ცდილობენ?***

– არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო გაძლიერდება ასეთი ქმედებები და ეს დაძაბულობა უკვე კულმინაციას აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო კრება ამ ბოლო პერიოდში დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა და, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ ჩანდნენ, მაგრამ, როგორც ეტყობა, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა ამის მომზადება. ეს არ არის ერთი და ორი დღის საქმე, მით უმეტეს, ბევრი ადამიანი წაუყვანიათ და ბევრ ადამიანს აიძულებენ მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას. ასე რომ, ალბათ, ასეთი შეთხზული საქმეები მომავალში კიდევ უნდა ვიხილოთ. ერთი და ორი ადამიანის გამოძებნა ძალიან მარტივია ხელისუფლებისთვის, რომელსაც ან მოისყიდიან და ადამიანზე ხელს დაადებინებენ, ან, უფრო ხშირად,



უბრალოდ, დააშინებენ, რაღაც კომპრომატს შეუთხზავენ და ეტყვიან, თუ არ გინდა, ამ კომპრომატის გამო ჩაჯდე ციხეში, მოგვეცი ჩვენება ამა და ამ კაცის წინააღმდეგ. ეს მათთვის აპრობირებული მეთოდია და ამ მეთოდს უფრო და უფრო ხშირად გამოიყენებენ.

***– ასევე ცნობილია, რომ ხელისუფლებამ კახი კალაძის ანგარიშები დააყადაღა. როგორ ფიქრობთ, რამდენად სამართლიანია, როდესაც საკუთარი სპორტული კარიერით ნაშოვნ თანხებს გიყადაღებენ?***

– ეს ქმედება კიდევ ერთხელ აჩენს ხელისუფლების სახეს. ყველასა და ყველაფერს დააყადაღებენ არჩევნების წინ, ოღონდ, ის მოსალოდნელი მარცხი, რომელსაც თვითონაც კარგად გრძნობენ, არ დადგეს და როგორღაც შეინარჩუნონ ხელისუფლება. ეს მართლაც ყოველგვარ ზღვარს სცილდება, ამდენი დაჭერები, დაყადაღებები, გასამართლებები და ასე შემდეგ. მე, მაგალითად, არაფერი მიკვირს, ამ ხელისუფლების ბუნებიდან გამომდინარე და თან ველოდები, რომ ეს ტენდენცია უფრო და უფრო გახშირდება, გაძლიერდება, იმიტომ რომ ყველამ ძალიან კარგად იცის და, ვინც არ იცოდა, დღეს უკვე თვალნათლივ დაინახა ხელისუფლების არსენალში მთავარი მოქმედებები. მთავარი იარაღი სწორედ დაშინება და მოსყიდვაა.

***– რა თამაშს თამაშობს ხელისუფლება, ხალხის მოთმინებას ცდის, უნდათ, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს?***

– მე ვფიქრობ, კონკრეტულ პიროვნებებზე ზეწოლით ისინი ამბობენ, აი, ჩვენ ასეთ გამოჩენილ, სახელოვან, ძალიან ცნობილ პიროვნებებს არ ვერიდებით, რასაც გვინდა, იმ უკანონობას ჩავდივართ და თქვენ წყნარად იყავით, თორემ თქვენზე უფრო ადვილად გადმოვა ეს ყველაფერი. ეს არის მათი ტაქტიკა. რამდენად გავა ეს, ხალხს გააბრაზებს თუ ხალხს დააშინებს, მომავალი გვიჩვენებს. იმედი მაქვს, ეს უფრო გააბრაზებს ხალხს, ვიდრე დააშინებს.

***– რამდენად გამოიყვანს პოლიტიკურ პროცესებს იმ ჭრილიდან, რომელშიც დღეს მიმდინარეობს?***

– ეს არის, ალბათ, ხელისუფლების ინტერესებში, რომ თუ ვერ შეძლო ხალხის მასობრივად დაშინება და დათრგუნვა, მაშინ ჯობია გამოვიდეს პროცესები ბუნებრივი მიმდინარეობიდან, კალაპოტი გადალახოს და ქუჩის ისეთი აქციები წამოიწყონ, რომელიც უკვე უმართავი იქნება, ან თვითონ მოახერხებენ იმას, რომ უმართავი გახდეს თავიანთი შეგზავნილი აგენტების საშუალებით და იქ უკვე, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობენ თავს, რომ ეს გარეთ გამოსული მასა დაარბიონ და კიდევ ერთხელ თავიანთი ძალის დემონსტრირება მოახდინონ. თუ ცალკეული ადამიანების დაჭერით არ ხერხდება მათი დაშინება, მოახდინონ მასობრივი დაპატიმრებები, რისთვისაც საფუძველს იქმნიან, რასაც ამბობდნენ 26 მაისსა და 7 ნოემბერს, რომ ესენი სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდნენ, ყოველგვარი კანონის ჩარჩოებს გასცდნენ და ჩვენ ვიცავთ კანონსა და წესრიგს.

***– რამ გაამწარათ ასე, ხომ არ დარწმუნდნენ, რომ არჩევნების გაყალბებას ვერ შეძლებენ და წააგებენ?***

– როგორც ჩანს, ასეა და სწორედ ამიტომ უნდათ, პროცესები ასე შემოატრიალონ, მით უმეტეს, მათი მხარდამჭერი საერთაშორისო ორგანიზაციების ტენდენცია, ენდიაისა და აირაის მიერ ჩატარებული კვლევები, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ადგილს უწერენ მას, მაინც არის იქითკენ, რომ მხარდაჭერა კლებულობს მათ გამოკვლევებშიც კი, ამ ფონზე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიცხვი დღითიდღე იზრდება და ამის შეჩერება შეუძლებელია.

მე ვფიქრობ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ არჩევნებამდე მშვიდად მივიდეთ, ოღონდ არა ხელისუფლების მიერ დაწერილი სცენარით და მათ მიერ დათრგუნული ხალხით. ოპოზიციის მთავარი ამოცანა არის ის, რომ, ერთი მხრივ, სიმშვიდე შეინარჩუნონ და არ გასცდეს ჩარჩოებს ეს პოლიტიკური ბრძოლა, მეორე მხრივ, ხელისუფლებამ ვერ მიაღწიოს იმ მიზანს, რომ ამ ჩარჩოებში მოახდინოს ხალხის მასობრივი დაშინება თავისი პოლიტიკითა და ტაქტიკით, რომელიც სწორედ აქეთკენ არის მიმართული, რომ ან გამოიყვანოს ჩარჩოებიდან და, თუ ეს არ მოხდა, მაშინ ამ ჩარჩოების შიგნით მოახდინოს ამ საზოგადოების მაქსიმალური დემორალიზაცია. აი, ეს არ უნდა დაუშვას თვითონ ოპოზიციამ.

## თეთრები“ ზაზა სოფრომაძის დაკავებას ხელისუფლების შიშის გამოხატულებად მიიჩნევენ



პოლიტიკური პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს წევრის და რეგიონალური ხელმძღვანელის ზაზა სოფრომაძის დაკავების ფაქტს ეხმაურება.

შაშიაშვილის განმარტებით, ხელისუფლება წინასაარჩევნოდ ხალხის დაშინებას ბოლშევიკური მეთოდებით ცდილობს, სოფრომაძის დაკავება კი – ამის ერთ-ერთი მაგალითია.

„ვერ დაგვაშინებენ. ხალხის განწყობის გამო შეშინებულები თვითონვე არიან და იმიტომ იქცევიან ასე. ყოველი ღირსეული ადამიანისთვის უპირველესია ოქტომბრის არჩევნებზე ამ ნეობოლშევიკური ხელისუფლებისგან საქართველოს გათავისუფლება“ – აცხადებს შაშიაშვილი.

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს წევრი და რეგიონალური ხელმძღვანელი ზაზა სოფრომაძე გუშინ გამთენიისას საკუთარი სახლიდან სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა წაიყვანეს. მისი ადგილსამყოფელი რამდენიმე საათის განმავლობაში უცნობი იყო.

ნიუსპრესი

## პრემიერ-მინისტრი გულისა და სისხლძარღვთა კლინიკის მომსახურებას გაეცნო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკას ეწვია და დღეს გულზე სიმსივნის მოსაკვეთად ჩატარებული ოპერაციის დეტალებს გაეცნო.



მერაბიშვილი ოპერაციის ღირებულებით დაინტერესდა და განუცხადეს, რომ თანხამ 9200 ლარი შეადგინა. როგორც პრემიერთან საუბარში ექიმებმა აღნიშნეს, ოპერაციის ხარჯები მთლიანად სადაზღვევო კომპანიამ დაფარა.

მერაბიშვილის თქმით, არც ერთი მოქალაქე არ უნდა დარჩეს, ვისთვისაც საჭიროების შემთხვევაში, მსგავსი ოპერაცია ხელმიუწვდომელი იქნება

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

თეა მარხვაიძე

**საქართველოს ხელისუფლებას ახალი თავისტკივილი, ხოლო რუსეთის ხელისუფლებას ახალი სალაპარაკო გაუჩნდა. უკვე რამდენიმე თვეა მშობლიური ხელისუფლების მაგინებელთა რიგებს ახალი წევრი შეემატა. მშობლიურ ხელისუფლებას მშობლიური ოპოზიცია რომ აკრიტიკებს და ბრალს სდებს, ეს ნორმალური ამბავია. ხშირ შემთხვევაში ჩვენი ოპოები მართლებიც არიან, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ნერვების მომშლელია, როცა ხელისუფლებას ბრალდებებს ხიზრი ალდამოვი უყენებს.**

# ხიზრი ალდამოვი: ჟვანია, პატარკაციშვილი და რომან დუმბაძე სააკაშვილის დავალებით მოკლეს“



ხიზრი ალდამოვი, სულ რაღაც ერთი წლის წინ, საქართველოს ხელისუფლების თავგადაკლული დამცველი იყო. ოპოზიციას ხშირად საყვედურობდა, ნუ შეჭამეთ ეს კაციო. ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდა იმ ბრალდებებს, რომელიც რუსეთიდან მოდიოდა.

რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში ტერაქტების მოწყობას და ათას ცელქობას გვაბრალებდა. შარშან რუსულ ტელევიზიას ირაკლი ოქრუაშვილმა სკანდალური ინფორმაციები მიაწოდა, სადაც ნამინისტრალი საუბრობდა, რომ საქართველო ჩეჩენ მებრძოლებს ხშირად აძლევდა დერეფანს. მისი ინფორმაციით, ლამის ყველა ცნობილმა ჩეჩენმა ტერორისტმა საქართველოს ჭიუხები დალაშქრა. ამ ბრალდებების გამო ალდამოვმა ის ლამის საქართველოს მოღალატედ გამოაცხადა. ახლა კი იგივე ბრალდებებს თავად უყენებს საქართველოს ხელისუფლებას. ის გასული წლის დამლევს ჩეჩნეთში წავიდა. რამზან კადიროვს პატიება სთხოვა. ამის შემდეგ მისი პერსონით რუსული პრესა დაინტერესდა. ისიც უხვად ამარაგებს რუსულ მედიას სკანდალებით.

სკანდალი ალდამოვმა ამჯერადაც ააგორა. მართალია ახალი არაფერი უთქვამს (ყოველ შემთხვევაში, ისეთი, რაც სააკაშვილისთვის აქამდე არ დაუბრალებიათ), მაგრამ აჟიოტაჟი მაინც შეიქმნა.

საქართველოში ჩეჩნური დიასპორის ყოფილმა ხელმძღვანელმა ამჯერად „რია ნოვოსტის“ ოფისში გამართა პრესკონფერენცია, სადაც საქართველოს პრეზიდენტს გახმაურებულ მკვლელობებში დასდო ბრალი.

ალდამოვის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი პირადად მონაწილეობდა ჩრდილო ოსეთში განხორციელებული ტერაქტების ორგანიზებაში და ცდილობდა რუსეთის ტერიტორიაზე ქართულ-რუსული ომის დროს, 2008 წლის აგვისტოში, აფეთქებების სერია განეხორციელებინა.

საინტერესო ბრალდებაა. ასეთი ბრალდებით ოსური მხარეც კი არ გამოსულა. კოკოითი კი ამტკიცებდა, სააკაშვილი ცხინვალში რაღაცებს წაუანცებსო, მაგრამ ჩრდილოეთ ოსეთსაც თუ ვაწიოკებდით, აღარ მეგონა. რესპუბლიკა ალანიას ხელისუფლება ყოველთვის ამბობდა, რომ ვლადიკავკაზში მომხდარი ტერაქტების უკან ინგუშები იდგნენ. ინგუშები და ოსები კი ერთმანეთს დიდი ხანია ვერ იტანენ.

ალდამოვმა ბესლანის ტერაქტზეც ისაუბრა. 2004 წელს ბესლანში მართლაც გაუგონარი ტრაგედია მოხდა. საქართველოდან გაქცეული ალდამოვი ამტკიცებს, რომ ამასთანაც კავშირი გვაქვს.

ასეთი ბრალდებით ერთხელ გამოვიდა კოკოითის მთავრობის შს მინისტრი მიხაილ მინძაევი. მან თქვა, რომ თითქოს ამ ტერაქტის მონაწილეებმა საქართველოში გაიარეს მომზადება. მას შემდეგ, რაც ეს ინფორმაცია რუსულმა მხარემ არ აიტაცა, მინძაევიც დადუმდა. ახლა კი ალდამოვი ალაპარაკდა. არადა, ადრე ფარად ჰყავდა სააკაშვილს გადაფარებული.

რუსულ მედიას ალდამოვმა იმის შესახებაც მოუთხრო, თუ როდიდან დაიწყო ჩვენმა ხელისუფლებამ ბოევიკებთან ჟღურტული.

ალდამოვის მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლების ტერორისტული საქმიანობის აღმავლობა ჯერ კიდევ 2003 წელს იწყება. მაშინ ხელისუფლებაში ახლად მოსული სააკაშვილის მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას თბილისი დასავლეთსა და ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებს შორის შუამავლად აქციოს. აშშ და დასავლეთის სხვა ქვეყნები საქართველოში ბოევიკებისათვის განკუთვნილი იარაღის გამოგზავნას იწყებენ. აქვე ირიცხება ფული მათი საქმიანობისათვის.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება, რომელიც აქტიურად სარგებლობდა მისი მომსახურებით, აგვისტოს ომის დროს ცდილობდა ალდამოვის დახმარებით გადაეცა ფული ჩრდილოკავკასიელი ბოევიკებისათვის, რათა მათ რუსეთის ტერიტორიაზე ტერაქტების სერია ჩაეტარებინათ.

პრესკონფერენციაზე ალდამოვი საქართველოში არსებულ შიდაპოლიტიკურ სიტუაციასაც შეეხო. მან განაცხადა, რომ სააკაშვილი გზიდან იცილებს ყველა მოწინააღმდეგეს და პირადად არის მონაწილე ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილის, რომან დუმბაძის და ჯაბა იოსელიანის გარდაცვალებაში.

პირველი სამის მოცილებაში სააკაშვილს ბევრი ვინმე ადანაშაულებს, მაგრამ ჯაბა იოსელიანის გარდაცვალებაში სააკაშვილს ნამდვილად პირველად წაუყენეს ბრალი. ისე, არ გაგიკვირდეთ, ალდამოვმა ან რუსეთის სპეცსამსახურებმა სააკაშვილი კენედის მკვლელობაშიც დაადანაშაულონ. ან კენედის თუ არა, ასლან მასხადოვის, ან ჯოჰარ დუდაევის მკვლელობა დასდონ ბრალად.

ალდამოვი ასევე აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას მისი „მოცილებაც“ სურდა და 2004 წელს იგი მოწამლეს, რის შედეგადაც რამდენიმე თვე საავადმყოფოში გაატარა. მხოლოდ თუ ადრე იგი ამაში რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურს ადანაშაულებდა, ამის შესახებ მან თითქმის ყველა ქართულ გამოცემას, მათ შორის „ახალ თაობასაც“ განუცხადა. ახლა კი ამბობს, ყველაფერ ამაში საქართველოს სპეცსამსახურების ხელი ურევიაო.

– მე მომწამლეს. ექიმებმა დააფიქსირეს სასმენი ნერვის დაზიანება, ნერვული სისტემის აშლილობა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ფუნქციის დარღვევა. მოცემული ფაქტი საჯარო გახდა და ეს დამეხმარა, გადავრჩენილიყავი და ხელი შემეშალა დაინტერესებული პირებისთვის, მკვლელობის მცდელობა ბოლომდე მიეყვანათ. ოპერაცია ქართულმა სპეცსამსახურებმა საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის გია გაბუნიას ხელმძღვანელობით დაგეგმეს. მათ სურდათ, შემდგომში, მოწამვლის გამო რუსული მხარე დაედანაშაულებინათ, – განაცხადა ალდამოვმა.

ჩეჩნური დიასპორის ყოფილი ხელმძღვანელი ამტკიცებს, რომ ამ პრესკონფერენციის შემდეგ მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

– იმას, რასაც მე თქვენ ახლა გეუბნებით – ეს ჩემი სიკვდილია. ყოველი სიტყვა, რომელსაც მე მის (სააკაშვილის) წინააღმდეგ ვამბობ – ჩემი სიკვდილია. მე არ ვიცი, სახლამდე მივაღწევ თუ არა. ვიცი, რომ იგი ჩემზე ნადირობს, უკვე ამ საუბრებმა ჩემამდე მოაღწია ჩეჩნეთში, – უთხრა ჟურნალისტებს ალდამოვმა.

ხიზრი ალდამოვის პრესკონფერენცია „რია-ნოვოსტის“ მოსკოვის ოფისში დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

მისმა განცხადებებმა შესაძლოა პანკისის ხეობას სერიოზული პრობლემები შეუქმნას. რუსული მედია და სპეცსამსახურები გამუდმებით იმის მტკიცებაში იყვნენ, რომ იქაურობა ჩეჩენი ბოევიკებით არის სავსე. მაშინ ალდამოვი ამტკიცებდა, რომ ეს სიცრუე იყო. ახლა კი ამბობს, რომ პანკისის ხეობაში ძალიან ბევრი შეიარაღებული ხალხი დადის.

ის ქისტ ბოევიკებზეც ალაპარაკდა. რუსები კი გააფრთხილა, ფრთხილად იყავით, სააკაშვილს არ უყვარხართო.

– გულწრფელად გეუბნებით, სააკაშვილს სძულს რუსეთი და რუსი ხალხი. მასთან დაახლოებულ პოლიტიკოსთა ჯგუფის წევრებიც – თარგამაძე, ბოკერია – ვერ იტანენ რუსეთს. გამუდმებით იმაზე ფიქრობენ, რა დაუშაონ მას და ამისათვის ხალხს ქირაობენ, ძირითადად ჩეჩნებს. თუ რუსეთის ტერიტორიაზე რამე ტერაქტი ხდება, ყველაფერს სააკაშვილი ხელმძღვანელობს, ყველაფერში მისი ხელი ურევია. მას აქვს ანტიტერორისტული ცენტრი, სადაც ჩეჩნები და ქისტებიც არიან, ეს მისი შექმნილი სისტემაა. რასაც უბრძანებს, ასრულებენ. ის მეთაურობს და პასუხისმგებელიც თავადაა, – განაცხადა ალდამოვმა.

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ნუგზარ წიკლაურის შეფასებით, ხიზრი ალდამოვის ეს გამოსვლა რუსული სპეცსამსახურების სტანდარტული პაკეტია, რომლითაც, მისი სიტყვებით, რუსეთის უშიშროების სამსახურების წარმომადგენლები საქართველოს არაერთხელ გაუმასპინძლდნენ. პანკისის ხეობის ტერორიზმის ბუდედ გამოცხადება, ნუგზარ წიკლაურის თქმით, წმინდა წყლის სიცრუეა:

ალდამოვის პრესკონფერენცია კი დემონსტრირებაა იმისა, თუ როგორ შეიძლება არაარგუმენტირებული, დაუსაბუთებელი რაღაც მასალა გამოაქვეყნო ...

– ცხადია, ეს სიცრუე და ინსინუაციაა. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ საერთაშორისო საზოგადოებას და რუსეთსაც, რომ თუკი ასეთი ეჭვები არსებობს, ჩვენ მზად ვართ საერთაშორისო მრავალეროვანი მონიტორინგის მისიები განთავსებულები იყვნენ რუსეთისა და საქართველოს საზღვრებზე – მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზეც. რა თქმა უნდა, ამ შეთავაზებაში მათი პასუხი ყოველთვის იყო უარყოფითი, რადგან მათ მშვენივრად იციან, რომ არაფერი მსგავსი იქ არ ხდება. მათი მთავარი მიზანია პერიოდულობით საქართველოზე, როგორც ტერორიზმის მფარველ ქვეყანაზე, ინფორმაცია გაავრცელონ. სხვა მიზანი ასეთ განცხადებებს არა აქვს. ხიზრი ალდამოვის სხვა განცხადებებზე კომენტარის გაკეთება მიჭირს, რადგან ეს არის ადამიანი, რომელმაც თავის 20 წლიან საზოგადოებრივ საქმიანობას ხაზი გადაუსვა, ახლა კი არის რუსეთის მფარველობის ქვეშ და მოქმედებს რუსული სპეცსამსახურების დავალებით, – განაცხადა რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნუგზარ წიკლაურმა.

ალდამოვის მიერ წამოწეულ სხვა საკითხებზე ნუგზარ წიკლაურს სერიოზული კომენტარის გაკეთება უჭირს. ამბობს, რომ საქართველოს პოლიტიკა ჩრდილო კავკასიელ ხალხებთან მიმართებით გამჭვირვალეა და სრულად აისახება პარლამენტის მიერ დაახლოებით თვე-ნახევრის წინ დამტკიცებულ სტრატეგიაში. ნუგზარ წიკლაური აცხადებს, რომ ალდამოვის მიერ საქართველოდან წასვლის შემდეგ გაკეთებული პირველივე განცხადებების შემდეგ მისთვის ცხადი იყო, თუ რა იქნებოდა საქართველოში ჩეჩენთა სათვისტომოს ყოფილი ხელმძღვანელის შემდგომი ნაბიჯი, თუმცა, მსგავსი დაუსაბუთებელი განცხადებები წიკლაურისათვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა:

„თუ ამდენად არასერიოზულია რუსული სპეცსამსახურების მუშაობა, რომ ამის მეტის არაფრის თქმა არ შეუძლიათ, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი და ალდამოვის პრესკონფერენცია კი დემონსტრირებაა იმისა, თუ როგორ შეიძლება არაარგუმენტირებული, დაუსაბუთებელი რაღაც მასალა გამოაქვეყნო.“

# „მეცხრე არხის“ ჟურნალისტს აშანტაჟებდნენ

თეა მარხვაიძე

**ხელისუფლებას „მეცხრე არხი“ სერიოზულად უშლის ნერვებს. უკვე მივეჩვიეთ, რომ მათ რეგიონებში პრობლემებს უქმნიან უცნაური მედიაჯგუფები. ამ მეთოდმა დიდად არ გაამართლა. ამიტომაც ახალი მეთოდი გამოიყენეს. „მეცხრე არხის“ ჟურნალისტი ნოდარ ჩაჩუა ამბობს, რომ მას ხელისუფლების წარმომადგენლები აშანტაჟებენ.**

ნოდარ ჩაჩუას თქმით, პირველად მას რამდენიმე დღის წინ, ვერაზე დახვდნენ უცნობი პირები და ჩაისვეს ავტომობილში.

ჟურნალისტი ნოდარ ჩაჩუა ამბობს, რომ ერთი პირი მან სპეცოპერაცია „ენვერის“ კადრებიდან ამოიცნო. როგორც ის ამტკიცებს, სპეცოპერაცია „ენვერსის“ ამსახველ ვიდეომასალაში ჩანს, რომ ერთ-ერთ შანტაჟისტს ჯაშუშობაში ბრალდებული ხელბორკილდადებული პირი მოჰყავს.

„მეცხრე არხის“ ეთერში ჩაჩუამ დაშანტაჟების დეტალებზე ისაუბრა.

– პირველი კითხვა, რაც მკითხეს, ეს იყო ვიკეთებდი თუ არა წამალს[ნარკოტისკს], ვიყავი თუ არა წამლის მომხმარებელი. მერე რეპლიკები იყო ახლა წამლის კეთებაში გაგბერავთ, წამალს გაგიკეთებთ, ასევე მიდიოდა მუქარები, რომ გცემთ და ა.შ. სამი ადამიანი იჯდა მანქანაში – ერთი ჩემ გვერდით, მეორე საჭესთან და მესამე ჩემ წინ. იყო კითხვები, მიწევდა თუ არა პარტიულ ოფისებში სიარული და შემეძლო თუ არა რაიმე სახის ინფორმაციის გამოტანა, ასევე, მქონდა თუ არა რაიმე სახის ინფორმაცია ტელევიზიაში არსებულ სიტუაციაზე და როგორც მერე თვითონ განმიმარტეს, ინფორმაციაში იგულისხმებოდა თათბირებზე განხილული საკითხები და რომელიმე პოლიტიკოსის გადაადგილების წინასწარი მარშუტი. რამდენიმე ლიდერზე იყო საუბარი, მათ შორის ბიძინა ივანიშვილზეც. დავალება იყო ასეთი: მე უნდა დამემყარებინა სქესობრივი კავშირი „მეცხრე არხის“ თანამშრომელ მამაკაცთან და მითხრეს, რომ ამის გაკეთება, წესით, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. მე ისინი მეუბნებოდნენ, რომ არ უნდა მეთქვა ტყუილები, რადგან ისინი ყველაფერს გადაამოწმებდნენ. მათ მითხრეს, რომ ამისთვის ისინი მე გადამიხდიდნენ თანხას, ანუ ფინანსური პრობლემები არ შემექმნებოდა. ასევე, ამობდნენ, რომ ჩვენ ვართ სამსახური. ისინი არ აკონკრეტებდნენ რომელი კონკრეტული სამსახურიდან, უწყებიდან, ან დეპარტამენტიდან იყვნენ. მათ თქვეს, რომ ჩვენ ვართ სამსახური, რომლებიც ადამიანებს უგვარებენ ძალიან ბევრ პრობლემას, მაგრამ ამასთანავე, უქმნიან ძალიან დიდ პრობლემას, – განაცხადა „მეცხრე არხის“ ეთერში ნოდარ ჩაჩუამ.




ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გენერალური დირექტორი კახა ბექაური აცხადებს, რომ ტელეარხი ყველანაირად შეეცდება დაიცვას საკუთარი ჟურნალისტი. მათ უკვე მიმართეს საქართველოს სახალხო დამცველს, მზადდება განცხადება პროკურატურაში შესატანადაც.

ამ ფაქტმა სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ფეისბუქის მომხმარებელთა ერთმა ნაწილმა ჩაჩუას დაშანტაჟებას ოპერაცია თინტო ბრასი უწოდა. ეს რეჟისორი ძირითადად ეროტიულ ფილმებს იღებს.

# რამდენი მილიონი გადაუხადა აგვისტოს ომში საქართველოს ხელისუფლებამ გენერალ ბორისოვს?

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ პარლამენტის წევრ პეტრე მამრაძესთან

***— ბატონო პეტრე, როგორ შეაფასებდით დღეს ქვეყანაში არსებულ ვითარებას?***

— თქვენ ახლა მოისმენთ მეცნიერის შეფასებას, რადგან, პირველ რიგში, მეცნიერი ვარ და არა — პოლიტიკოსი. ჩემი შეფასება ასეთია: სისტემური მიდგომით, ქვეყანაში არის ავტორიტარული კლეპტოკრატია, ანუ ეს არის ქურდების მმართველობა. როგორც სოზარ სუბარმა თავის დროზე უწოდა, ეს არის ხაზინის ქურდების ავტორიტარული მმართველობა. დღეს თქვენ ვერ დამისახელებთ საქართველოში ბიზნესის დარგს, რომელიც მთლიანად არ იყოს რეჟიმის კონტროლის ქვეშ და ფასებიც კი არ იყოს ნაკარნახევი რეჟიმის მხრიდან. მონოპოლია ფარმაცევტიკაში თვითონ სააკაშვილმა სამჯერ გამოაცხადა. სამწუხაროდ, ჩვენთან შეიქმნა მონოპოლია ფარმაცევტიკაში და ფასები ყველაზე ძვირია მთელ რეგიონში. ვინ შექმნა მონოპოლია? თქვენ გგონიათ, პსპ-ს, ავერსს, ჯპს-ს ვინმე რამეს ეკითხება? მათ კარნახობენ იმ ფასებს, რაც უნდა დააწესონ, ზემოგება მიდის ნაცისტების ე.წ. აფშიაკში. იგივე ხდება ბენზინთან და ხორცთან დაკავშირებით. აღარ ჩამოვთვლი — აბსოლუტურად ყველაფერზე მონოპოლიაა. ეს საქართველოს ეკონომიკას, როგორც შაგრენის ტყავს, ისე ანადგურებს და ამცირებს. შეხედეთ ციფრებს, შეხედეთ საგარეო ვალს. მმართველი დაჯგუფება გაერთიანებული და შედუღაბებულია საერთო მრავალი დანაშაულით. მათ უკანდასახევი გზა თვითონ მოსპეს, ჩაიხერგეს და გადაწვეს დიდი ხანია. უცხოელმა ექსპერტებმა მითხრეს, რომ ეს ყმაწვილები ახლა იბრძვიან საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. მათ ძალაუფლება იმისათვის სჭირდებათ, რომ სიცოცხლე შეინარჩუნონ, რადგან იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი, უვადო პატიმრობა არც ერთ მათგანს არ ასცდება ნებისმიერი დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს პირობებში. ამიტომ მინდა, ყველამ იცოდეს, ესენი არაფერს მოერიდებიან. თუ შეაფასეს, რომ, მიუხედავად მთელი ადმინისტრაციული რესურსისა, დატერორებისა, მოტყუებისა და დაგეგმილი მასობრივი გაყალბებისა, ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებში აგებენ, ოქტომბრამდე ესენი წავლენ დაჭერებზე, მასობრივ დაპატიმრებებზე. რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ყბადაღებული ბრალდებით, კრემლის აგენტებმა მოამზადეს პუტჩი რუსული ფულით. ჩხრეკას ჩაატარებენ და ამოიღებენ იმ იარაღს, რასაც თვითონ მიიტანენ და ჩადებენ. შეგახსენებთ, რომ ივანიშვილი ის კაცია, რომელიც არასოდეს დაარღვევს კანონს. ამ კრედოთი და ამ მრწამსით მოდის. ასე იქცევა და ასე იცნობს მას მთელი დასავლეთი. ერთ-ერთი უნიკალური შემთხვევაა, რომ ადამიანი ყოველ წელს ითხოვს მსოფლიო ბანკისა და სხვა ორგანიზაციების აუდიტს მთელ თავის სტრუქტურებში. ეს აუდიტი ყოველთვის იდება. ეს აუდიტი უმაღლესი დონისაა წესრიგისა და კანონმდებლობის მხრივ. ნაციონალები ამას უსათუოდ იზამენ, თან ეს არ უნდათ — ესმით, რომ ყოველი დაჭერა და გასროლა შეიძლება მათთვის ბომბი იყოს, მაგრამ ამას მაინც გააკეთებენ, თუ დაინახეს, რომ სხვა გზა არ არის. იმიტომ არის მერაბიშვილი გადმოსული პრემიერად. მათ ჰგონიათ, რომ ხალხის თვალში ამ ადამიანს შერჩა („საქმე ლაპარაკის ნაცვლად“) საქმიანი კაცის აურა. აგერ აქვთ პოლიციის რეიტინგი, რა თქმა უნდა, პატრულის წყალობით.

***— ეს რეიტინგი შეგნებულად ხომ არ დადეს ენდიაის დახმარებით? როგორც ცნობილია, მათ გამოკითხვებს საზოგადოება არ ენდობა.***

— რა თქმა უნდა, მაგრამ თვითონ ხომ ასე ჰგონიათ. იმ დღეს, როცა მერაბიშვილი გამოვიდა ტყუილების გუდით, მე მომიწია სავსე ავტობუსით მგზავრობა. ძალიან მესიამოვნა, როცა ერთმა ასაკოვანმა ქალბატონმა დაიწყო და ყველამ მხარი დაუჭირა (ადრე ხალხი ხმას ვერ იღებდა ავტობუსებში). მან თქვა: ხალხო, თუ ვინმე ისევ დაუჯერებს ტყუილების ამ გუდას, ჩვენ არ ვყოფილვართ ერი და ხალხი! როგორ შეიძლება დაჯერება 8-წლიანი მოტყუებების შემდეგ? ხალხი ღიად გამოხატავდა თავის აზრს. ნაციონალებს უნდათ, ქართველი ერი, მისი უდიდესი ნაწილი ისე ატარონ, როგორც, მაპატიეთ და ვირი, რომელსაც თივას დაუკიდებენ წინ და ეუბნებიან, ახლა არა, მერე, ახლა არა, მერეო. ეს დრო ამოიწურა.

***— თქვენ ძალიან საშიში სიტუაცია დახატეთ, რომელიც შეიძლება წინასაარჩევნო პერიოდში შეიქმნას საქართველოში. აქედან გამომდინარე, არჩევნების შემდეგ რა ვითარება შეიძლება შეიქმნას?***

— ვთქვათ, გადაწყვიტეს, ვიგებთო, როგორც ახლა ანგარიშობენ და ერთმანეთს ეუბნებიან. მე ყველა ინფორმაცია მომდის ჩემი ძველი კონტაქტების გამო. იქ არაერთი წესიერი, პატიოსანი ადამიანია, როგორც მოხელე, რომელიც ზრუნავს იმაზე, რომ სწორი ინფორმაცია გამოვიდეს მათი წიაღიდან. ისინი სხედან და მსჯელობენ, აი, 30%-ზე მეტს არ დავუწერთ ივანიშვილს და ეყოფა, ჩვენ გავალთ, ქრისტიან-დემოკრატებსაც გავიყვანთ. ასე გავალთო. ვთქვათ, ამ შეგნებით ოქტომბრის არჩევნები ჩატარდა, მაგრამ, გახსნეს ყუთები და, მიუხედავად ყველაფრისა, ხედავენ, რომ წააგეს, მაშინ განაცხადებენ, პუტჩი მოგვიწყო კრემლმაო და ამ ლოზუნგით არევენ სიტუაციას. ერთადერთი, ის გზა გამორიცხე, სარკოზი რომ დამარცხდა, მიულოცა და წავიდა სახლში. ასეთი რამ აქ გამორიცხულია.



***— ანუ შეიძლება, დამარცხებულმა მმართველმა პარტიამ თვითონ მოაწყოს ბუნტი წაგებული არჩევნების გამო?***

— დიახ. მოგებულს რომ მიულოცოს და წავიდეს, ეს ნაციონალების შემთხვევაში გამორიცხულია. ამათ ეს გზა მოჭრილი აქვთ. არ არის გამორიცხული, მიუხედავად შედეგებისა, ოქტომბერში გამოაცხადონ, რომ გაიმარჯვეს. ხალხმა თუ იხუვლა ქუჩაში, შეეცდებიან, გადააგორონ სროლის გარეშე. თუ გადააგორეს, ისეთ დღეში დავრჩებით, როგორშიც ვართ. 26 მაისი ხომ გადააგორეს, სტადიონი გავსებული იყო, მაგრამ მაინც. თუ ვერ გადააგორეს, მაინც ვერ გავლენ. მსჯელობა ძალიან მარტივია — აქსიომად დადეს, რომ ესენი არავითარ შემთხვევაში არ მიდიან თავიანთი ნებით და ლეგიტიმურად. ყველა შემთხვევაში გამოაცხადებენ თავიანთ გამარჯვებას და იბრძოლებენ ყველა ხერხით — ძალოვანი ხერხებით, ძალადობით იბრძოლებენ, რომ დარჩნენ ხელისუფლებაში. მერე რა მოხდება, სხვა საკითხია.

***— ეს რა საშინელი სცენარია.***

— ეს გარანტირებულია.

***— ე.ი. ასეთი ხმები გამოდის ხელისუფლებიდან?***

— მხოლოდ ასეთი ხმები კი არ გამოდის, უცხოელებმაც კი იციან პოსტულატი, რომ ეს ადამიანები, ეს ყმაწვილები ძალაუფლებას ვერ ტოვებენ. ეს შანსი იყო 2007 წლის ნოემბერში, როცა გადადგა სააკაშვილი. ეს შანსი იყო 2008 წლის გაზაფხულზე, როცა სააკაშვილი ლაპარაკობდა დეცენტრალიზაციაზე, დემოკრატიაზე. ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რა პრობლემის წინაშე ვდგავართ ყველანი — მთელი ერი და მთელი სახელმწიფო. დღესაც კი, ამდენი ჩემი გამოსვლის შემდეგ, მაჩერებენ ქუჩაში, ხან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, სადაც დავდივარ და ვხვდები ხალხს და საკმაოდ ბევრი ადამიანი მეკითხება, რა, არ წავლენ? ახლა, ოქტომბერში ხომ წავლენ? ყველანი ხმას ვაძლევთ „ოცნებას“ და ხომ წავლენ?

***— ანუ ხალხს იმედი აქვს, რომ ნაციონალები წავლენ და ამიტომ ითმენენ ამდენ უსამართლობას?***

— წარმოიდგინეთ ვითარება, საქართველო რაღაც დონით მაინც დემოკრატიული ქვეყანა რომ იყოს, დემოკრატიას ბევრი დონე და განზომილება აქვს, მაგრამ, რაღაც დონით რომ იყოს არაავტორიტარული და გვქონდეს არა ქურდების ავტორიტარული მმართველობა, არამედ რაღაც დონის დემოკრატია, უკეთესად იქნებოდა საქმე. ვთქვათ, ხალხმა მისცა ხმა და ივანიშვილის „ოცნებამ“ მიიღო დიდი პროცენტი, ნახევარზე გაცილებით მეტი, მეტოქე ნაციონალებსაც აქვთ ადგილები პარლამენტში (5%-იან ბარიერს, ცხადია, გადალახავენ) და აღიარებენ ამას, ულოცავენ ერთმანეთს (როგორც ხდება მთელ დასავლეთში რეგულარულად) და გადადიან ოპოზიციაში. თუ პარტია დიდხანს რჩება ხელისუფლებაში, ყოველთვის, ამა თუ იმ დონით, გახრწნასა და დაცემას განიცდის. ოპოზიციაში ყოფნა ძალიან ჯანსაღი რამ არის. ოპოზიციაში გამაგრება, თემატიკის წამოწევა და შემდეგ თუ იმის შემდეგ არჩევნებზე, ვთქვათ, ისევ მოსვლა. რატომაც არა. თეორიულად ეს შესაძლებელია, მაგრამ აქ ძალიან დიდი მასშტაბური სისხლის სამართლის, ეკონომიკური და სხვა დანაშაულები აქვთ ერთად ჩადენილი რეჟიმის თავკაცებს, სულ 6-7 კაცს და შემსრულებლების პირველ რიგს...

***— სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი...***

— ადეიშვილი... და კიდევ, ვთქვათ, გავლენიანი ხალხი ვინც არის — ბოკერია, უგულავა და სხვები. ივანიშვილი იხსენებს თავის საჯარო წერილში: 40 წუთში დავუსაბუთე ბოკერიას, რომ ცხინვალზე სამხედრო თავდასხმის ოპერაცია იქნებოდა ავანტიურა და დამთავრდებოდა სრული კრახით (ეს იყო აგვისტომდე წელიწად-ნახევრით ადრე). ბოკერია კი სააკაშვილისა და მერაბიშვილის თანდასწრებით მიმტკიცებდა, რუსები გაიწევიან (შეაფასეთ მათი აზროვნების დონე) და შეგვიშვებენ ცხინვალშიო. როცა ეს დავუმტკიცე, — იხსენებს ივანიშვილი, — მერაბიშვილი არ მალავდა თავის აღტაცებას. მაშინ სააკაშვილმა მკითხა, კი მაგრამ, ბიძინა, რუსებმა თვითონ რომ შემოგთავაზონ ამის გაკეთება, მაშინ როგორ მოვიქცეთო? და ივანიშვილის პასუხი: სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას იმის თაობაზე, რომ ტოვებს ცხინვალს, მიესალმება თბილისის შესვლასა და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას, მანამდე, სულ რომ გითხრან, გჩუქნითო, ნაბიჯი არ გადადგათ, ეს იქნება ისევ ავანტიურა და პროვოკაცია. შემდეგ წერს ბიძინა: მაშინ კი შევაჩერე თქვენი ავანტიურა, მაგრამ გავიდა წელიწად-ნახევარი და თქვენ ეს მაინც გააკეთეთო. ეს ხომ დიდი დანაშაულია.

***— ხშირად რაღაცები წამოსცდება ხოლმე სააკაშვილს. კულუარებს მიღმა შეთანხმება ხომ არ ჰქონდა სააკაშვილს, ვთქვათ, რუსეთთან, პუტინთან და ის ხომ არ დაირღვა?***

— გავიხსენეთ სააკაშვილის საჯარო განცხადებები 2008 წელს საარჩევნო კამპანიის დროს, სადაც ამბობს, ცხინვალის პრობლემის გადაწყვეტა თვეების კი არა, კვირების ამბავიაო. ამოიღეთ ეს ინფორმაცია, საჯაროა, ინტერნეტში დევს.

***— დიახ, მაშინ ამბობდა, მაგალითად, აფხაზეთის პრობლემას 3 თვეში გადავწყვეტთო.***

— სააკაშვილი ცხინვალთან დაკავშირებით აცხადებდა, ეს არის მოყანყალებული კბილი ჩვილი ბავშვისა, რომელსაც, როცა მოვქაჩავთ, მაშინ ამოვიღებთო. ასევე — მთავარი, რაც თქვენ მკითხეთ: — სააკაშვილი ამბობდა, დანამდვილებით ვიცი, რომ კრემლს ცხინვალი აღარ აინტერესებს, რუსებს ეს არაერთხელ წამოსცდათო.

***— ხომ არ ცვლიდა ცხინვალს კოდორში.***

—არა. კგბ-ს თანამშრომლები „წამოცდენების“ დიდოსტატები არიან. დეზინფორმაციის გავრცელება, ასეთ ბილატერალურ ანკესებზე წამოგება მათთვის ანაბანაა. რა თქმა უნდა, სააკაშვილს სრული ილუზია შეუქმნეს იმისა, რომ ცხინვალი მათ აღარ აინტერესებთ. ცხინვალის გამო (თან ამხელა ამერიკის ფაქტორი მოქმედებს) ნამდვილად არ დაიწყებენ დიდი ძალების შემოყვანას საქართველოში. ამიტომ დარწმუნებული იყო სააკაშვილი (მით უმეტეს, ის არის სრულიად არაადეკვატური ადამიანი. მე მას ახლოს ვიცნობ), რომ ვინაიდან ის პატარა ქვედანაყოფი, რაც იქ იყო (სამშვიდობოები), ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, გაივიდოდა ბოლომდე და გადაკეტავდა როკის გვირაბს. როკის გვირაბზე ცალკე გართულება ჰქონდა ყოველთვის.

***— ჰო, მაგრამ როკის გვირაბი, თუ შეეძლო, წინასწარ უნდა გადაეკეტა. როკის გვირაბი რომ არ გადაკეტა და ყოველგვარი წინასწარი ზომების გარეშე, სამშვიდობო მანდატის მქონე ჯარის იქ დგომის პირობებში შევიდა?***

— ამას ვამბობ. ყველამ იცის, რომ ცხინვალი სინქრონულად ძველი ქართული ცხინვალია და მას ადრე რცხინვალი ერქვა. ამას ვახუშტი ბაგრატიონი წერს. სვეტიცხოვლის ყმების დასახლებას ეძახდნენ. ამ ქალაქის გრადების სისტემით დაბომბვა დიდი დანაშაულია.

***— ტალიავინის კომისიის დასკვნაში წერია, რომ ეს აღიარა საქართველოს მთავრობამ.***

— კარიერისტები და მლიქვნელები ყვირიან, არ თქვათ, რომ საქართველომ ომი დაიწყოო.

***— სამწუხაროდ, ტალიავინის დასკვნის პირველივე აბზაცში წერია, რომ ცხინვალში საბრძოლო მოქმედებები საქართველომ დაიწყო.***

— თქვენ ამბობთ ამას. არასოდეს ვიტყვი, რომ საქართველომ ომი დაიწყო. მაშინ თქვენ ამბობთ, რომ საქართველომ ომი დაიწყო? არავითარ შემთხვევაში. სააკაშვილი რის ომის დამწყებია, გორში ნახა ხალხმა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კუშნერის თვალწინ როგორ მირბოდა — მხოლოდ მისი ქუსლები ჩანდა. შემდეგ კი გორაობდა. რის ომის დამწყებია? სააკაშვილმა დაიწყო სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა, რა დროსაც მან უგულავას ხელმძღვანელობით კორტეჟი მიავლინა თბილისიდან ცხინვალში. მანქანები დატვირთული მიდიოდა ორი ტრიბუნით, გასაშლელი სცენით, 400 დროშით, ფეიერვერკებით. 8 აგვისტოს 1-2 საათამდე ცხინვალში უნდა ჩატარებულიყო გამარჯვების აღლუმი და უნდა მომხდარიყო სააკაშვილისა და სანაკოევის საზეიმო გამოსვლები ამ აღლუმზე. თქვენი კოლეგები, სხვადასხვა ქალაქში აკრედიტებული ჟურნალისტები, ყველანი გაფრთხილებული იყვნენ, რომ პირდაპირი ჩართვა იქნებოდა ცხინვალიდან. მე ვყვები იმ ადამიანების მონაყოლს, რომლებიც ახლდნენ იმ კორტეჟს. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდა ჟურნალისტები, კაცები და ქალები.

***— არანაირად არ უშვებდნენ, რომ შეიძლება საჭირო გამხდარიყო ბრძოლები, უკანდახევა, გამაგრება და ამისთვის სხვაგვარი მზადყოფნა იყო საჭირო?***

— 7 აგვისტოს საღამოს რომ გამოაცხადა ადმინისტრაციასა და მინისტრებში, ახლა ბოლომდე დავადუღებთო, ეს განწყობა ჰქონდათ. წარმოიდგინეთ, როცა ადამიანი უშვებს კორტეჟს (ფიანდაზები დამავიწყდა — წითელი ფიანდაზებით), სააკაშვილისა და სანაკოევისთვის გამზადებულია ფრაზა: „ჩემო ძვირფასო ქართველებო და ჩემო ძვირფასო ოსებო, კოკოითი გაიქცა, ცხინვალი თავისუფალია!“, ანუ ბათუმის ფრაზის გამეორება უკვე მცირეოდენი ცვლილებით და ფეიერვერკი. ამის გარეშე სააკაშვილი ვერ აზროვნებს. სააკაშვილი აზროვნებს სატელევიზიო სურათების წარმოდგენით. სხვათა შორის, ელდარ შენგელაიამაც თქვა ერთხელ, რომ ეს ნიჭი ნამდვილად მისცა ღმერთმა სააკაშვილს, მაგრამ ეს პოლიტიკა არ არის. ჰოდა, მოძრაობდა სააკაშვილის გაგზავნილი კორტეჟი და, სანამ უბედურება ხდებოდა, 15 წუთში ერთხელ ურეკავდა უგულავას, სად ხართ, კორტეჟი ცხინვალში შედის თუ არაო. ნატოს სპეციალისტებმა ანგარიშში დაწერეს და აღნიშნეს (წაიკითხეთ ასმუსის წიგნი), ქართული ჯარი განიცდიდა დიდ ზარალს იმის გამო, რომ მათ იმ მომენტში ხელმძღვანელობდნენ სამოქალაქო პირები. კერძო საუბარში მითხრეს, რომ მთავარი სამოქალაქო პირი, ფელდმარშალი ადგილზე იყო უგულავა, რომელსაც ახრჩობდა სააკაშვილი, როგორც მშენებლობებზე ახრჩობს, აბა, ააშენეთ, თორემ თქვენ იქნებით ქეთოები, მე ვიქნები კოტეო (ეს მისი ბათუმში განცხადებიდან) და სხვა. ასე ააშენეს ბათუმის თეატრი და შემდეგ ისე წვიმდა შიგნით, როგორც გარეთ, ანდა გაიხსენეთ, რამდენი მსხვერპლია ქუთაისში. ცხინვალთან დაკავშირებითაც იგივე ხდებოდა: ურეკავდა, არ შეხვედით, რას მიკეთებთ? შეხვედით? უგულავა ურეკავს მეთაურებს: აბა, მიდით! იქ კიდევ ხელჩართული ბრძოლაა, სისხლი იღვრება თბილისის მერის „კამანდრობით“ (როგორც ამბობდნენ ჟარგონზე იგივე სამხედროები). დიდი დანაშაული იქნა ჩადენილი. დიდი დანაშაული იქნა ჩადენილი ამ მხრივაც, მაგრამ სჯეროდა ადამიანს, რომ წამოსცდათ მასთან რუსებს, კრემლს აღარ აინტერესებდა ცხინვალიო. ისინი მართლაც „წამოცდენების“ ოსტატები არიან.

***— შეგნებული დეზინფორმაციის გავრცელების დიდოსტატები.***

— რა თქმა უნდა.

***— შემდეგ რუს გენერლებს რომ ატარებდნენ ჯიპებით, ეს კიდევ სხვა თემაა.***

— შემდეგ იყო სრული კაპიტულაცია. მე მიყვებიან, რომ გენერალი ბორისოვი აქედან მილიონერად წავიდა. ყოველ ღამეს თბილისში ატარებდა და მიდიოდა ვაჭრობა, ეს არ აგვიფეთქო, ამდენს მოგცემთ, ის არ აგვიფეთქო, იმდენს მოგცემთო. იქ გოროზია რუსი გენერლების პირად მძღოლად გადაიქცა. ამას იხსენებს ყველა, ვინც იმ რეგიონში იყო. გოროზია თავისი ჯიპით დაატარებდა რუს გენერლებს, სადაც უნდოდათ და როგორც უნდოდათ. პრინციპში, ამ დროს უკვე სრული კაპიტულაციაა და იმხელა ძალას ვერ ფლობ, რომ გაუძალიანდე. ამის შემდეგ ყველასათვის ცხადი იყო, რომ რამდენსაც შეებრძოლები, იმდენს გაგისწორებენ ქვეყანას მიწასთან.

## მაიკლ ჯექსონის შვილებს დროებითი მეურვე დაუნიშნეს

ლოს-ანჯელესის სასამართლომ ამერიკელი მომღერლის, მაიკლ ჯექსონის შვილების მეურვეობის უფლება დროებით მათ ბიძაშვილს, ტიტო ჯექსონ-უმცროსს გადასცა.




მაიკლ ჯექსონი 2009 წელს გარდაიცვალა და მას შემდეგ მისი შვილების მეურვედ ბებია კეტრინ ჯექსონი ითვლებოდა, რომელიც ამჟამად 82 წლისაა.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ სახლში, სადაც ბავშვები იმყოფებოდნენ, ბებია არ ცხოვრობდა, მოსამართლე მიტჩელ ბეკლოფმა მეურვეობა 34 წლის ტიტო ჯექსონს გადასცა.

ცოტა ხნის წინ, გარდა ამისა, ჯექსონების ოჯახში არსებული კონფლიქტის შესახებ გახდა ცნობილი.

ორშაბათს კეტრინ ჯექსონის სახლში პოლიცია გამოიძახეს. მიზეზად იქცა „მცირე შეხლა-შემოხლა", რომელშიც მაიკლ ჯექსონის ქალიშვილი პერისი და ჯექსონის და, ჯანეტ ჯექსონი მონაწილეობდნენ.

გარდა ჯანეტისა და 14 წლის პერისისა, ამ დროს სახლში იმყოფებოდა მაიკლ ჯექსონის ორი ძმა, გარდა ამისა, ჯექსონის კიდევ ორი შვილი, 14 წლის პრინს მაიკლი და 10 წლის პრინს მაიკლ II, რომელსაც ოჯახში ბლანქეთს უწოდებენ.

მანამდე, რამდენიმე დღით ადრე, კეტრინ ჯექსონი დაკარგულად გამოაცხადეს. პერის ჯექსონმა სამშაბათს თავის მიკრობლოგში ჩაწერა, რომ ათი დღეა, ბებია არ უნახავს.

კეტრინ ჯექსონის ადგილსამყოფელის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები ვრცელდებოდა. მოგვიანებით პრესაში გამოჩნდა მისი ფოტოსურათი, რომლის მიხედვითაც კეტრინ ჯექსონი არიზონის შტატში ნათესავებს სტუმრობდა.

ლოს-ანჯელესში გამართული სასამართლო განხილვის დროს ტიტო ჯექსონმა ივარაუდა, რომ არიზონაში კეტრინ ჯექსონს ძალით აკავებდნენ და რომ მასთან საუბრის დროს კეტრინი უცნაურ გამოთქმებს იყენებდა და გაურკვევლად ლაპარაკობდა.

ბავშვების მეურვეობის უფლების ტიტო ჯექსონისათვის გადაცემასთან ერთად, სასამართლომ მაიკლ ჯექსონის შვილებს კალიფორნიის შტატის დატოვება აუკრძალა.

ამასთან, მოსამართლემ აღნიშნა, რომ კეტრინ ჯექსონის რაიმე შეუფერებელი ქცევის შესახებ მას ინფორმაცია არ გააჩნია და შინ დაბრუნებისთანავე იგი ბავშვების მეურვეობის სტატუსს აღიდგენს.

ჯანეტ ჯექსონსა და მის ძმებს ბავშვების მეურვედ და მაიკლ ჯექსონის ქონების გამგედ ბებიის დანიშვნა უმართებულოდ მიაჩნიათ. გავრცელებული ცნობების თანახმად, მაიკლ ჯექსონის მრავალმილიონიანი ვალები უკვე გასტუმრებულია და ამჟამად მისი ქონება ასეულობით მილიონ დოლარად არის შეფასებული.

მაიკლ ჯექსონი 2009 წლის ივნისში 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზად ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატ პროპოფოლის ჭარბი დოზა დაასახელეს.

**გ.თ.**

## ფინელი ჯაზმენი მოსკოვში კონცერტს არ გამართავს

ცნობილი ფინელი ჯაზმენი, პიანისტი იირო რანტალა, პანკ ჯგუფ „პუსი რაიოთის" წევრების დაკავების გამო მოსკოვში ჩასვლაზე უარს ამბობს და აცხადებს, არ სურს, კონცერტით გამოვიდეს ქვეყანაში, სადაც სიტყვის თავისუფლება შუა საუკუნეების დონეზეა.

წარსულში ანსამბლ პუსი რაიოტის წევრებს მხარი დაუჭირეს აგრეთვე ჯგუფების „რედ ჰოთ ჩილი პეპერსის", „ფრანც ფერდინანდის", „ფეით ნო მოსის" წევრებმა, აგრეთვე მუსიკოსმა სტინგმა. მათ რუსეთის ხელისუფლებს დაკავებული მარია ალიოხინას, ნადეჟდა ტოლოკონიკოვას და ეკატერინა სამუცევიჩის გათავისუფლებისაკენ მოუწოდეს.



ანსამბლის წევრები მაცხოვრის ეკლესიაში ე.წ. პანკ-ლოცვის „ღვთისმშობელო, განდევნე პუტინი" დროს დააკავეს. ცოტა ხნის წინ სასამართლომ ჯგუფის წევრების დაკავების ვადა 2013 წლის იანვრამდე გაახანგრძლივა.

პანკ-ჯგუფის წევრების მხარდაჭერის მიზნით სექტემბერში სპეციალური აქციისა და კონცერტის გამართვას აპირებენ აგრეთვე პეტერბურგელი მუსიკოსები, მსახიობები, ჟურნალისტები და რეჟისორები.

საქველმოქმედო კონცერტი 1-2 სექტემბრისათვის არის დაგეგმილი.

ანსამბლ „პუსი რაიოთის" წევრების მხარდამჭერი აქცია რუსეთში პირველად არ იმართება. გასულ ორშაბათს ყაზანის ტაძართან ამოკერილი პირით გამოვიდა მხატვარი პეტრ პავლენსკი. 12 ივლისს ანსამბლის წევრთა ტანისამოსში გამოწყობილმა ქალმა სპას ნა კროვის ტაძართან დადგმულ ჯვარზე მიიჯაჭვა თავი.

**გ.თ.**

## ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წესში ცვლილება შევიდა

გუშინ თბილისის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ბინის მესაკუთრება ამხანაგობის წესში ცვლილებები შეიტანეს. ცვლილება შევიდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაში.

ცვლილების თანახმად, ბინის მესაკუთრესთან ერთად დღეიდან კანონიერ მოსარგებლეებსაც მიეცემათ საშუალება, შენობის კეთილმოწყობისათვის საჭირო თანხის მოთხოვნით რაიონულ გამგეობას მიმართონ და მიიღონ შესაბამისი დაფინანსება.

„აღნიშნული ცვლილების თანახმად, ბინის მესაკუთრეებთან ერთად კანონიერ მოსარგებლეებს, ანუ ე.წ. „ატსტუპნიკებს" შესაძლებლობა ეძლევათ შესაბამის რაიონულ გამგეობებს მიმართონ კორპუსის კეთილმოწყობისათვის სახურავების შეკეთების, კიბეებისა და ლიფტების მოწესრიგების და წყალკანალიზაციის მილების შეცვლის საჭირო თანხების მოთხოვნით", – განაცხადა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილმა.

საკრებულოს სხდომაზე ორ უსახელო ქუჩას სახელი მიენიჭა. საკითხის სხდომაზე განსახილველად სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლაშა იმედაშვილმა წარადგინა.

კრწანისის მეორე ჩიხი ეწოდა ისან-სამგორის რაიონში მდებარე უსახელო ჩიხს, ხოლო ლუბლიანის მესამე ჩიხის სახელწოდება მიენიჭა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ლუბლიანას ქუჩაზე მდებარე უსახელო ჩიხს.

**მედიანიუსი**

## ექთნების ხელფასები იზრდება

სექტემბრიდან ექთნების მინიმალური ხელფასი 200 ლარამდე გაიზრდება. ამის შესახებ პარასკევს სადაზღვევო კომპანიებთან პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილისა და ჯანდაცვის მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილის შეხვედრაზე აღინიშნა.



როგორც მერაბიშვილმა განაცხადა, სადაზღვევო სისტემის დანერგვის შემდეგ საავადმყოფოებში გაიზარდა მიმართვიანობა და შესაბამისად მედპერსონალის მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს.

ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ პრემიერის ინიციატივაა მედპერსონალის ხელფასის მუდმივი ზრდა.

მისი თქმით, სექტემბრიდან ექთნის ხელზე ასაღები მინიმალური ხელფასი 200 ლარი იქნება.

**ნიუსპრესი**


# 28 ივლისი მსოფლიო ჰეპატიტის დღეა!

# C ჰეპატიტი განკურნებადი დაავადებაა

C ჰეპატიტის ვირუსი სისხლით გადამცემ ინფექციებს განეკუთვნება. იგი უპირატესად აზიანებს ღვიძლს და იწვევს მის ანთებას. მას აგრეთვე „ჩუმ დაავადებასაც" უწოდებენ, ვინაიდან C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულთა უმრავლესობას წლების განმავლობაში შესაძლოა არ აღენიშნებოდეს დაავადების არავითარი სიმპტომი.

C ჰეპატიტის ვირუსით ღვიძლის დაზიანებისას ხდება ღვიძლის უჯრედების – ჰეპატოციტების კვდომა, რომელიც ღვიძლის ნორმალურ მუშაობას არღვევს. დროთა განმავლობაში მკვდარი უჯრედები ჩანაცვლდება ნაწიბუროვანი ქსოვილით (ფიბროზი), რომელსაც საბოლოოდ ღვიძლის მძიმე დაზიანებამდე – ციროზამდე მივყავართ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, C ჰეპატიტის ვირუსით მსოფლიოში დაახლოებით 170 მილიონი ადამიანია ინფიცირებული. ყოველწლიურად ამ ვირუსით ინფიცირდება 3-4 მლნ ადამიანი. C ჰეპატიტის პრობლემა საქართველოსთვისაც უაღრესად აქტუალურია. არსებული მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 6.7% ინფიცირებულია C ჰეპატიტის ვირუსით. მისი გავრცელება კიდევ უფრო მაღალია რისკის ჯგუფებში და 70%-ს აღწევს.

პაციენტთა უმრავლესობას დაავადების სიმპტომები არ უვლინდება. უსიმპტომო პერიოდი შესაძლოა რამდენიმე წელიწადს გაგრძელდეს. მიუხედავად ამისა, ვირუსი აგრძელებს გამრავლებას ღვიძლში. ეს კი იწვევს ღვიძლის ანთებას. ღვიძლის დაზიანებამ (ფიბროზი) შესაძლოა ფართო ხასიათი მიიღოს, რაც, საბოლოო ჯამში, მძიმე მდგომარეობის – ციროზის განვითარებას იწვევს. C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულთა დაახლოებით 25-%-ს უვითარდება ციროზი ინფიცირებიდან 20 წლის შემდეგ. ციროზის შორსწასული ფორმის მკურნალობის ერთადერთი გზა ღვიძლის გადანერგვაა (ტრანსპლანტაცია). უმკურნალებელ შემთხვევაში ციროზს შეიძლება ღვიძლის კიბოს განვითარებაც მოჰყვეს.

C ჰეპატიტის პროგრესირების სიჩქარე სხვადასხვა ადამიანში განსხვავებულია. ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ზოგ პაციენტში 20 ან 30 წლის შემდეგაც კი ცვლილებები უმნიშვნელო ხასიათს ატარებს, მაშინ როდესაც სხვებში 10 წელიწადში შეიძლება განვითარდეს ციროზი. საყურადღებოა, რომ დაავადების პროგრესირების ტემპი არ არის დამოკიდებული ვირუსის გენოტიპზე ან ორგანიზმში ვირუსის შემცველობაზე. თუმცა ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ არსებობს რიგი ფაქტორები, რომლებთანაც შეიძლება დაკავშირებული იყოს დაავადების სწრაფი პროგრესირება: ხანდაზმული ასაკი, მამრობითი სქესი, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ჭარბწონიანობა, დიაბეტი, თამბაქოს წევა, თანდართული ინფექციები.

დაავადების განკურნება თავისით არ ხდება. ვირუსისაგან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ სათანადო მკურნალობის ჩატარების შემდეგ, რომელიც გააუმჯობესებს ღვიძლის მდგომარეობას.

C ჰეპატიტის სამკურნალოდ მსოფლიოში არსებობს ორი ლიცენზირებული პეგილირებული ინტერფერონი: პეგინტერფერონ ალფა 2ა (პეგასისი, ჰოფმან-ლა როში, შვეიცარია) და პეგინტერფერონ ალფა 2ბ (პეგინტრონი, შერინგ პლაუ, აშშ). ამ მედიკამენტებით მკურნალობის ეფექტიანობა ყველა ფორმის დაავადების დროს საშუალოდ 60-65%-ს შეადგენს. აღნიშნული მედიკამენტები საქართველოშიც რეგისტრირებულია და ხელმისაწვდომია აფთიაქებში.

C ჰეპატიტის რთული ფორმების სამკურნალოდ 2011 წელს აშშ-სა და ევროპაში დარეგისტრირდა ახალი, პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტები (ტელაპრევირი და ბოცეპროვირი) სამმაგი თერაპიისთვის, რომლებიც განკურნების შანსებს კიდევ უფრო ზრდიან ორმაგ თერაპიასთან შედარებით. ჯერჯერობით ეს მედიკამენტები საქართველოში რეგისტრირებული არ არის.

2009 წელს კოჰრეინის დამოუკიდებელი ჰეპატო-ბილიარული ჯგუფის მიერ ჩატარდა პეგილირებულ ინტერფერონზე ბოლო წლებში ჩატარებული, რეგისტრირებული კვლევების მეტა ანალიზი. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ C ჰეპატიტის ვირუსისგან განკურნება 11%-ით მეტი იყო იმ პირებში, რომლებიც მკურნალობდნენ პეგილირებულ ინტერფერონ ალფა 2ა-თი.

ამ კვლევების მეტა ანალიზიდან გამომდინარე, მკვლევრებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ C ჰეპატიტის მკურნალობა პეგილირებული ინტერფერონ ლაფა 2ა-თი დაკავშირებულია განკურნების უფრო მაღალ შანსთან (11%-ით), ვიდრე მკურნალობა პეგილირებულ ინტერფერონ ალფა 2ბ-თი, მიუხედავად ვირუსის ტიპის, სუბ ტიპის, რაოდენობის ან სხვა ფაქტორებისა.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, C ჰეპატიტი განკურნებადი დაავადებაა. მისი დროული დიაგნოსტირებისა და მკურნალობის შემთხვევაში შესაძლებელია ამ ვირუსისგან გათავისუფლება, ხოლო მკურნალობა, ჩატარებული პეგილირებული ინტერფერონ ალფა 2ა-თი კიდევ უფრო ზრდის განკურნების შანსს სხვა პეგილირებულ ინტერფერონებთან შედარებით.

გამოიკვლიეთ თავი C ჰეპატიტის ვირუსზე და დაიცავით თქვენი ღვიძლი მძიმე ვირუსული დაზიანებისაგან.

**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

**ტელ: +(995 32)2 38 92 99**

**georgia.office@roche.com**

**www.roche.ge**

# მამუკა კაციტაძე ამომრჩეველთა ლიგის“ წინააღმდეგ

## რას ვერ იყოფენ საარჩევნო სიების გადამმოწმებლები

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ ამომრჩეველთა სიების დამდგენ სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძესთან

***— ბატონო მამუკა, 1 აგვისტოს კომისიის მუშაობის შედეგებს დადებთ. ეს შედეგები რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ამ პასუხისმგებლობაზე არ გეკითხებით, რაზეც ბევრი ითქვა და კარგად გაქვთ გაცნობიერებული. მაინტერესებს, როგორი იქნება ამომრჩეველთა სია?***

— ამ კომისიის თითოეულ წევრს ეს პასუხისმგებლობა კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რაშიც გეთანხმებით. პასუხისმგებლობა გაჩნდა მაშინ, როდესაც პოლიტიკური შეთანხმების დოკუმენტი შეიქმნა, რომელიც ამომრჩეველთა სიების დაზუსტების საწყისი წერტილი იყო. პასუხისმგებლობაც სწორედ მაშინ ავიღეთ. რაც შეეხება შედეგებს, დეტალურ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით, რადგან ამ ინტერვიუს დროსაც ხდება საბოლოო ციფრების დაზუსტება. საზოგადოებას დაწვრილებით ინფორმაციას კანონით განსაზღვრულ ვადებში მივაწვდით ჩვენს მუშაობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ზოგად შეფასებას, შეფასებები საზოგადოებამ უნდა გააკეთოს და არა კომისიამ და მისმა მესვეურებმა. ნდობითი დამოკიდებულება ამ მუშაობის მიმართ საინტერესო იქნება ჩვენთვის. გარკვეულმა კვლევებმა უკვე დააფიქსირა დამოკიდებულებები.

***— შეფასება არ მითხოვია, გკითხეთ, კომისიამ შეძლო თუ არა აღებული ვალდებულების შესრულება?***

— მუშაობა ორი ნაწილისგან შედგებოდა: ერთი, სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავება, განახლება; მეორე — კარდაკარი. ძირითადი სამუშაო იყო კარდაკარი, რომლისთვისაც ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით, რომელიც 1 თებერვალს დაიწყო და 15 ივლისს დასრულდა. თითქმის ნახევარი წელი მიმდინარეობდა ეს პროექტი. დაახლოებით 3 მილიონ-ნახევარი ამომრჩევლის სია გადმოგვეცა, რომელიც იყო ძველი სია და რომლის უვარგისობის გამო შეიქმნა ეს კომისია. საერთო რაოდენობის მონაცემების გადამოწმების შედეგად დაახლოებით 64-65 პროცენტი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზუსტია და არ საჭიროებს რაიმე სახის ჩარევას.

***— თქვენ ამბობთ, რომ 65 პროცენტამდე ზუსტია?***

— დიხ, ბაზად აღებულია, როგორც გითხარით, 3 მილიონ-ნახევარი. რაც შეეხება 35 პროცენტს, ჩვენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიება განვახორციელეთ.

***— კონკრეტულად?***

— ამომრჩეველთა რამდენიმე კატეგორია გამოვყავით, რომლებთან მიმართებითაც შესაბამისი ანალიზი, დაზუსტება, ჩასწორება უნდა გაგვეკეთებინა. ეს ჯგუფები არჩეული იყო წლების განმავლობაში საზოგადოების კრიტიკული, მუდმივად ყბადაღებული პოზიციიდან გამომდინარე, როგორც უზუსტობის მთავარი წყარო. პირველი, გარდაცვლილი ამომრჩეველი, რომელიც ამომრჩეველთა ერთიან სიაში იყო დარჩენილი. მეორე, უცხოეთში გასული ამომრჩეველი, მესამე, ე.წ. მიწერები, როდესაც ადამიანი კონკრეტულ მისამართზეა რეგისტრირებული და ამავე მისამართის მეპატრონე აცხადებს, რომ ის არ იცნობს მის ბინაში ჩაწერილს. მეოთხე, შიდა მიგრაციაში მყოფი ამომრჩეველი, რომელიც რეგისტრირებულია ერთ ადგილზე და ცხოვრობს სხვა მისამართზე. მეხუთე, აერთიანებს ამომრჩევლის იმ კატეგორიას, რომლებსაც შეუსაბამობა აქვთ ამომრჩეველთა სიაში მითითებულ პირად მონაცემებსა და პირადობის მოწმობაში მითითებულ პირად მონაცემებს შორის — ან სახელში, ან გვარში ან დაბადების თარიღში, მისამართში ან პირად ნომერში. ამომრჩეველთა ეს ხუთი კატეგორია იყო ძირითადად ჩვენი კომისიის გადამოწმების ობიექტი. თუმცა, კარდაკარი ითვალისწინებდა, რომ დაგვედგინა მისამართები, რომლებიც არ იძებნება, ბინები, რომლებიც მუდმივად დაკეტილია, და ა.შ. ჩვენი გადამოწმების შედეგად დაახლოებით 25 ათასი ამომრჩეველი იქნა აღწერილი, რომელიც გარდაცვლილია, მაგრამ სიაში იყო. დაახლოებით 300 ათას ადამიანზე ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ისინი საზღვარგარეთ იმყოფებიან. ეს ინფორმაცია მივიღეთ კარდაკარიდან, სახელმწიფო უწყებებიდან. დაახლოებით 130 ათას ადამიანზე მივიღეთ ინფორმაცია, რომ მიწერილი არიან. დაახლოებით 40 ათას ადამიანს გაუკეთდა პირად მონაცემებში დაზუსტება, შეუსაბამობა იყო სიასა და დოკუმენტებს შორის. 600 ათასზე მეტი ამომრჩეველი აღიწერა, როგორც შიდა მიგრაციაში მყოფი.

***— ზუსტი მისამართი არსებობს მათი?***

— გვაქვს ინფორმაცია, რომ ისინი ნამდვილად არიან რეგისტრირებული კონკრეტულ მისამართზე, რასაც მათი ოჯახის წევრები ადასტურებენ, მაგრამ, გვაქვს ინფორმაცია, რომ ისინი ნამდვილად არიან საქართველოში, მაგრამ სხვა მისამართზე. თუ რა მისამართზე, ეს ვერ დავადგინეთ, რადგან ამას სჭირდება წინასწარი რეგისტრაცია, რომელიც ჩვენი კომისიის რეკომენდაციის ერთ-ერთ მთავარ მომენტს შეადგენს. თუ გვინდა, შიდა მიგრაციული მაჩვენებელი მომავალში არ იყოს, ამ პრობლემას წინასწარი რეგისტრაცია მოხსნის.

***— ეს ხუთი კატეგორია რომ შევკრიბოთ, ციფრებში რამდენი გამოდის?***

— ამ ხუთი კატეგორიიდან ოთხი კატეგორიის შესწორება სიაზე სხვადასხვა ფორმით უშუალოდ აისახება. პირად მონაცემებში დაზუსტებები უკვე ჩასწორდა, გარდაცვლილები სიიდან ამოვიღეთ, საზღვარგარეთ მყოფებს მინაწერი გაუკეთდათ, რომ საზღვარგარეთ არიან. ე.წ. მიწერილი ამომრჩევლების სია საერთოდ ცალკე სიად დაიდება, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გახდეს არჩევნების დღეს. ამ ოთხმა კატეგორიამ ერთად შეადგინა ნახევარი მილიონი. ამას დამატებული 600 ათასზე მეტი შიდა მიგრანტი, რომელიც ასევე აღვწერეთ — ეს არის მილიონ 100 ათასზე მეტი დაზუსტებითი ღონისძიების შედეგი 3 მილიონ-ნახევრიან ბაზაში. რაც შეეხება იმ კატეგორიის ამომრჩეველს, რომელთანაც ჩვენ კონტაქტი ვერ დავამყარეთ, მოიცავს სამ ქვეკატეგორიას: პირველი, ბინები, რომლებიც დაკეტილია და რომლებზეც მეზობლები ამბობენ, რამდენჯერაც არ უნდა მოხვიდეთ, მაინც ვერავის ნახავთო, მუდმივად არის დაკეტილი, მაგრამ ხალხია მიწერილი და მათი აღწერა ვერ განხორციელდა. მეორე კატეგორია არის მისამართები, რომლებიც ან საერთოდ არ იძებნება, ან იძებნება და საცხოვრებლად უვარგისი შენობებია. მესამე — ესენი არიან ამომრჩევლები, რომლებმაც ჩვენთან ინტერვიუზე უარი განაცხადეს. ჯამში, ვისთანაც კონტაქტი ვერ დავამყარეთ, დაახლოებით 200 ათასია. ერთი დაზუსტება: საუბარია იმაზე, რომ კონტაქტი ვერ დამყარდა კონკრეტულ მისამართზე რეგისტრირებულ ვერც ერთ ამომრჩეველთან, ინფორმაციის წყარო ვერ ვნახეთ.

***— 1 აგვისტოს სახელმწიფო კომისია რამდენი ამომრჩევლის სიას დადებს, ქვეყანაში რამდენი ამომრჩეველი გვყავს?***

— მთხოვთ იმ ციფრის ზუსტად დასახელებას, რომლის სამუშაო ციფრებიც არაზუსტად დაგისახელეთ. ახლა ითხოვთ, ჯამი აბსოლუტური სიზუსტით დაგისახელოთ.

***— ამ ციფრის პრეზენტაციას არ მოახდენთ?***

— როგორ არა. ჩვენ დავდებთ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ოდენობას. ამავდროულად, დავდებთ რამდენიმე კატეგორიის სიას, მაგალითად, მიწერილების სიას, უმისამართოების სიას, საზღვარგარეთ, არაკონტროლირებადი ტერიტორიების მისამართების სიებს და ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეების სიას. რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეების საარჩევნო უბნებად დაყოფასა და არჩევნებზე გადანაწილებას, ეს ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის კომპეტენცია არ არის. ეს ცესკოს კომპეტენციაა.

***— ერთიანი ციფრის დასახელება ხომ არის თქვენი კომისიის კომპეტენცია?***

— რა თქმა უნდა.

***— სწორედ ამას გეკითხებით.***

— ჩვენ ამ ციფრს აუცილებლად დავასახელებთ, ხომ უნდა დავთვალოთ. შემიძლია გითხრათ დაახლოებით და რაღაც ციფრი, მაგრამ ეს არ იქნება დამაკმაყოფილებელი.

***— საზოგადოების ნაწილის კრიტიკა კარდაკარის მუშაობაზე იყო. ადამიანები ამბობდნენ, რომ მათთან თქვენი რეგისტრატორები არ მისულან. რა იყო ამის მიზეზი? რამ გამოიწვია ასეთი კრიტიკა?***

— პირველ რიგში, ეს გამოიწვია პროცესის პოლიტიკურად აჟიტირებამ. სახელმწიფო კომისიის მიერ წარმოებული კარდაკარის პარალელურად დაიწყო კიდევ ორი პარალელური პროცესი, რომელსაც სხვა არაფერი ჰქონდა მიზნად, თუ არა კომისიის მუშაობის დისკრედიტაცია.

***— რომ დაასახელოთ, ვის გულისხმობთ?***

— „ქართულ ოცნებასა“ და „ამომრჩეველთა ლიგას“, რომელიც ერთი ხელიდან იმართებოდა ფინანსურადაც, პოლიტიკურადაც და ორგანიზაციულადაც ორი სხვადასხვა დანიშნულებით. ერთი ახდენდა ამომრჩევლის პარტიულ და პოლიტიკურ იდენტიფიცირებას ასეთი კითხვებით: ვის აძლევ ხმას? ვის ემხრობი და ვის არა?

***— რისი უფლებაც მათ აქვთ...***

— დიახ, უფლება აქვთ, მაგრამ, როდესაც ამ კითხვას სვამენ, მაშინ ამომრჩეველთა სიის სიზუსტეს ობიექტურად ველარ ადგენენ. 16 კითხვიდან როდესაც 12 კითხვა პოლიტიკურად ანგაჟირებულია და 4 კითხვა არის სიის დაზუსტების, მაშინ თავს ობიექტურობაზე ნუ დადებენ.

***— რაც შეეხება „ამომრჩეველთა ლიგას“...***

— მათი მეთოდოლოგია ჩემთვის განსაკუთრებულად მიუღებელია, იმიტომ რომ მან კარდაკარი მხოლოდ ორ ქალაქში ჩაატარა — თბილისა და ზუგდიდში. ეს არ არის სოციოლოგიური კვლევა, რომ შერჩევით წერტილოვანი კარდაკარი ჩაატარო და ბოლოს ტენდენცია დაადგინო. ჩვენ ტენდენციებს არ ვადგენთ, ჩვენ ამომრჩევლის სიზუსტეს ვადგენთ. ამდენად, 3 მილიონ ამომრჩეველში ჩატარებული კვლევა ერთ მილიონში ჩატარებული კვლევის ალტერნატივა ვერ იქნება. ეს სასაცილოა. „ამომრჩეველთა ლიგა“ იმთავითვე აცხადებდა, რომ მისი მიზანი არის სამი რამ: სიების დაზუსტება, არჩევნების დღეს პროცესის უბანზე გაკონტროლება და არჩევნების შემდეგ ხმების დაცვა. კომპლექსში ვიცი, ეს რაც არის.

***— რა არის?***

— ნიადაგი მოამზადონ იმისთვის, თუ რა უნდა მოხდეს არჩევნების შემდეგ, გარკვეული არგუმენტები შეამზადონ, რომ უფრო ეფექტიანად გამოიყენონ არჩევნების შემდეგ დღეს.

***— რა აქვთ გამიზნული? ამომრჩეველთა სია არ ვარგა და...***

— ეს მათ ჰკითხეთ.

***— თქვენი აზრით?***

— მათი აქცენტი გადატანილია არჩევნების შემდეგ პერიოდზე. როგორც ჩანს, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ მყარად ჩამოყალიბდა, რომ ამომრჩეველთა სიების ნიადაგზე შეიძლება პროცესები განვითარდეს, მათ შორის — რევოლუციური. როგორც ჩანს, სხვა მიზეზი ველარ რჩება იმ პროცესების განსავითარებლად. ასე იყო 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს. როგორც ჩანს, იგივე ჩანაფიქრია ამჯერადაც. კიდევ ერთი დეტალი — სახელმწიფო კომისია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, რაც ხალხის ფულია და საზოგადოების ინტერესი გამჭვირვალობასთან დაკავშირებით მაღალია. აბსოლუტურად ყველა ტიპის გამჭვირვალობა ჩვენს მუშაობას მუდმივად სდევდა. ვერ მეტყვის ვერავინ, რომ რაიმე ტიპის დოკუმენტი იყო დაფარული ან რომელიმე სხდომა იყო დახურული. გასაგებია, რომ ეს ჩვენი ვალდებულებაც იყო და ვაკეთებდით კიდეც. როდესაც ზოგადად გამჭვირვალობაზეა საუბარი, თქვენ ან სხვა ჟურნალისტებმა თუ დასვით კითხვა, რა დაჯდა „ამომრჩეველთა ლიგის“ კარდაკარი და წყარო საიდან იყო?

***— მე ეს კითხვა „ამომრჩეველთა ლიგის“ დამფუძნებლებს დავუსვი...***

— მე ვიცი, რომ ქართულ პოლიტიკაში დღეს დიდი რაოდენობით ფული შემოვიდა. დანარჩენი წყარო არ ვიცი. აქედან გამომდინარე, პროცესი, რომელსაც პარალელური და ალტერნატიული უწოდეს, რა დაჯდა? და საიდან იყო წყარო? ჩვენი პროცესი 5 მილიონი დაჯდა. დაფინანსების წყაროს მითითება საზოგადოების ბევრ კითხვის ნიშანს მოხსნის. რაც შეეხება იმას, ბევრთან არ ყოფილან რეგისტრატორები, პირველი, ამის მიზეზი იყო, როგორც გითხარით, პროცესის ანგაჟირება, ასევე ვიტყვი, ეს იყო გარკვეულად დაბალი კვალიფიკაციისა თუ პასუხისმგებლობის გამოხატულება. ველზე „ხალტურა“ მათ მუშაობაში იყო, მესამე — ჩასაფრებული პოზიცია. არ ყოფილანო, ამბობდნენ ის ადამიანები, რომელთა ოჯახებშიც ჩვენი კომისიის მიერ იყო სარეკლამო მასალები შეტანილი.

***— ბატონო მამუკა, ტელევიზიით გადის სარეკლამო კლიპები, სადაც „ამომრჩეველთა ლიგა“ ასახელებს კორპუსებს, რომლებიც არ არსებობს, მიწერილ ამომრჩევლებს. ეს ტყუილია თუ რა ხდება?***

— ინფორმაცია, რომელსაც ისინი ახმოვანებენ, ჩვენ მიერ გადამოწმებულ სიებს არ ეხება. ეს არის ის სია, რომელიც გადამოწმების ობიექტი იყო. ეს სია მე გადავეცი და ახლა ურცხვად ამბობენ, რომ ეს არის ჩვენ მიერ გადამოწმებული სია და იქ აღმოაჩინეს არარსებული მისამართები. ეს არის მათი უსუსური მცდელობა, როგორ შეიყვანონ შეცდომაში ამომრჩეველი. ჩვენ მიერ გადამოწმებულ სიას დღის სინათლე არ უნახავს, 1 აგვისტოს განსაჯაროვდება. არარსებული კორპუსი და მიწერილი, გარდაცვლილი ამომრჩეველი ასიათასობით ვიპოვე. სიას რომ დავდებთ, მერე შევადაროთ რაოდენობრივადაც, ხარისხობრივადაც მათ მიერ აღმოჩენილი და ჩვენ მიერ აღმოჩენილი ნაკლოვანებები. ახლავე გეუბნებით, ეს იქნება სასაცილო პროცესი, მაგრამ მათთვის მთავარია ჩვენი კომისიის დისკრედიტაცია.

***— რამდენად არის შანსი, რომ ცესკომ თქვენ მიერ დაზუსტებული სიის ნაცვლად ძველი სიით ჩაატაროს არჩევნები?***

— პარლამენტში ინიციატივით შევედით და საარჩევნო კოდექსში სპეციალური ჩანაწერი გაჩნდა, რომ ჩვენ კანონის საფუძველზე მოგვეცა უფლება, არჩევნების დღეს მოვახდინოთ კომისიის მიერ დაზუსტებული და დადგენილი სიისა და სამაგიდო სიის შესაბამისობის მონიტორინგი. კომისიის წარმომადგენლები ყველა საარჩევნო უბანზე უფლებამოსილნი არიან, მივიდნენ და შეამოწმონ, არის თუ არა იმ უბანზე ის სია, რომელიც კომისიამ დაადგინა, თუ მოხდა ჩანაცვლება, გაყალბება. როგორც კი ადგილი ექნება ამ სახის მანიპულაციას, კომისიის პოზიცია განსხვავებულიც რომ იყოს, მე ამ პროცესს ვამხელ, მაგრამ არ მაქვს საფუძველი, რომ ასე მოხდება. დარწმუნებული ვარ, კომისიის უმრავლესობა ანალოგიურს გააკეთებს. წარმოიდგინეთ, არჩევნების მეორე დღეს სახელმწიფო კომისიამ რომ თქვას, არჩევნები არალეგიტიმურ ამომრჩეველთა სიით ჩატარდაო, როგორ დაკვალიფიცირდება ეს არჩევნები და რა დამოკიდებულება იქნება ამ არჩევნების მხრიდან, ერთი მხრივ, საერთაშორისო საზოგადოების და, მეორე მხრივ, ქართველი საზოგადოების მხრიდან, რა თქმა უნდა, ამის თეორიული ალბათობა არსებობს, მაგრამ პრაქტიკულად გამოვრიცხავ, რომ ჩვენ მიერ დადგენილი სიით არ ჩატარდეს არჩევნები.



# მარლენ ეგუტია: ციხისგან თეატრმა მიხსნა“

ეკა ირემაშვილი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მორიგი თეატრალური სეზონი ამავე თეატრის მსახიობის, ბატონი მარლენ ეგუტიას ვარსკვლავის გახსნით საზეიმოდ დახურა. მსახიობს, რომელიც 45 წელია თეატრს ერთგულად ემსახურება, მშობლიური თეატრის წინ საზეიმო ვითარებაში ვარსკვლავი გაუხსნეს.

ვარსკვლავის გახსნამდე კი მარჯანიშვილის თეატრში წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა რეჟისორის ნიკოლოზ ლუარსაბიშვილის მიერ დადგმული მონოსპექტაკლი „კრეპის უკანასკნელი ფირი“, რომელიც რეჟისორმა სამუელ ბეკეტის მიხედვით განახორციელა. მონოსპექტაკლში სწორედ ვარსკვლავოსანი მსახიობი მარლენ ეგუტია მონაწილეობს. მარჯანიშვილის თეატრში მისულ საზოგადოებას თეატრის დასმა ასევე წარუდგინა სცენა სპექტაკლიდან „დეკამერონი“, რომლის რეჟისორიც ლევან წულაძეა. ვარსკვლავის გახსნა და შემოქმედებითი საღამო მსახიობს ქართული თეატრის მოღვაწეებმაც გულითადად მიულოცეს.

როგორ მოხვდა თეატრში მშენებელი მარლენ ეგუტია, როგორ გადაურჩა ციხეს და რა გზა განვლო ვარსკვლავოსანმა მსახიობმა 45 წლის განმავლობაში, ამ და სხვა თემებზე მსახიობი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**მარლენ ეგუტია:**

— საოცარი სახელი გაქვთ — „ახალი თაობა“. მინდა თქვენთან საუბარი მეც ჩემი ახალი თაობიდან დავიწყო. თბილისის მეთექვსმეტე ვაჟთა სკოლა დავამთავრე. 14 წლის არ ვიყავი, ერთი თვით ადრე დავწერე განცხადება კომკავშირში შესვლაზე, მოვიტყუე, იმდენად მინდოდა კომკავშირელი გავმხდარიყავი. საკმაოდ დატვირთული პიონერი ვიყავი, მაგრამ კომკავშირებლობა მეჩქარებოდა. კარგი კალიგრაფია მქონდა ქართულიც და რუსულიც და მთელ სკოლის გაზეთებს მე ვწერდი ორივე ენაზე. უფროსკლასელებს რომ ვხედავდი, კომკავშირელები იყვნენ, მეც მინდოდა მათნაირი ვყოფილიყავი. ბიუროზე გავედი, მკითხეს, მტკვარი საიდან იღებს სათავესო, ვუთხარი არსიანის მთებიდან-მეთქი. სად არის არსიანის მთებიო და თურქეთში-მეთქი. ეს კარგი ბიჭი ყოფილაო და მიმიღეს კომკავშირში. როცა კომკავშირის მანდატები უნდა აგვეღო, კომკავშირის რაიკომის მდივანმა დაგვიბარა მე და ჩემი პიონერხელმძღვანელი. მივედით, ჯერ პიონერხელმძღვანელი შევიდა, მერე მეც შემიყვანა. კომკავშირის მანდატის სურათი სად გადაიღეო, მკითხა კომკავშირის რაიკომის მდივანმა, ვუპასუხე ფოტოსტუდიაში-მეთქი. ეს პერანგი იყიდე თუ შეგიკერესო, ვუთხარი, დედამ შემიკერა-მეთქი. ეს იყო შავი სატინის პერანგი, „კასავაროტკას“ ეძახდნენ, ღილკილოები ჰქონდა. თურმე მაშინ იყო ორგანიზაცია „ერთი მუჭა ქართველობა“, რაიმე ორგანიზაციაში ხომ არ ხარ გაერთიანებულიო, უარი ვუთხარი. მაინც, ასეთი პერანგი რატომ გაცვიაო, ვუთხარი, ყველას აცვია, მეც მომწონდა, მოდაშია და დედამ შემიკერა-მეთქი. ამით დამთავრდა ყველაფერი, დღესაც არ ვიცი, რატომ მკითხეს ეს ყველაფერი, ალბათ ეგონათ, იმ ორგანიზაციაში „ერთი მუჭა ქართველობა“ ხომ არ ვიყავი გაწევრიანებული, მაგრამ ფაქტია, რომ გამომიშვეს. მამა, სანამ ომში წავიდოდა, ტრიკოტაჟის ქარხანაში მუშაობდა, როცა სამამულო ომიდან ჩამოვიდა, სპეციალობის მიხედვით გააგზავნეს სამუშაოდ და რკინიგზის მუშათა მომმარაგებლის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. ჩვენ ვცხოვრობდით ტრიკოტაჟის ბინებში, გამოგვასახლეს იმ ბინიდან, ვინაიდან მამა იქ აღარ მუშაობდა. 17 დღე და ღამე გარეთ ეყარა ჩვენი ავეჯი, ბავშვებს კი მეზობლებში გვეძინა. იქვე იქირავა მამამ ბინა და გადავსახლდით. ამაზე ნაწყენი და გაბრაზებული ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ მივიღეთ დეპეშა, სასწრაფოდ შეჩერებულიყო ჩვენი და ჩვენნაირების გამოსახლება ტრიკოტაჟის ბინებიდან, მამამ მათკენ აღარ მიიხედა, მოგვცეს მიწის ნაკვეთი, მამამ ააშენა იქ სახლი და იქ ვცხოვრობ 1952 წლიდან დღემდე.

***— მსახიობობა ბავშვობიდან გინდოდათ?***

— სკოლა რომ დავამთავრე, სიმაღლით 149 სანტიმეტრი, პატარა ბიჭი ვიყავი. სკოლაში კი ვთამაშობდი რაღაც როლებს, მაგრამ თეატრალურში ჩაბარებაზე არ მიფიქრია. სკოლაში პირველად გოგოს როლი ვითამაშე, ის როლი არასოდეს დამავიწყდება. ამ სპექტაკლით რაიონში პირველი ადგილი ავიღეთ. ბავშვთა სექტორის განყოფილების გამგემ, ქალბატონმა ვალია საჯაიამ ნახა ეს სპექტაკლი და მის წრეზე დავიწყე სიარული, მერე დიდებთანაც გადავედი, სპექტაკლში დავჭირდი, ჩემი სიდაბლე ბევრ რამეში დამეხმარა. სკოლის დამთავრების პირველივე წელს ვერ მოვეწყე, მეორე წელს სამშენებლო ფაკულტეტზე დაუსწრებელზე დავიწყე სწავლა, თან ვმუშაობდი მღებავად. 6 თვის შემდეგ უკვე მღებავების სამი ბრიგადა მყავდა, რუსული წერა ვიცოდი, მათემატიკა და ეს ყველაფერი მშველოდა. თან დრამატულ წრეზე დავდიოდი, რკინიგზელთა სახლში ჩამოყალიბდა სახალხო თეატრი და იქ გადავედი, იქაც მომცეს როლები.

***— თეატრალურში ჩაბარება არ გინდოდათ?***

— არასდროს მდომებია თეატრალურში ჩაბარება. თან ვსწავლობდი, ვმუშაობდი, „პრარაბი“ ვიყავი, რკინიგზელთა სახლში რეპეტიციებზე ჩამოვდიოდი საგარეჯოდან, მცხეთიდან და ვმუშაობდი, უხელფასოდ, მაგრამ მსიამოვნებდა. რკინიგზელთა სახლში იყო სტუდია და იქ ასწავლიდა ცისია ელისაშვილი, სულ მეუბნებოდა, რად გინდა ეს მშენებლობა, დაანებე თავიო, მაგრამ კატეგორიულ უარს ვეუბნებოდი. ალბათ ცხოვრების ბოლომდე „პრარაბი“ ვიქნებოდი და მშენებლობაში ვიმოღვაწევებდი, ერთი შემთხვევა რომ არ მომხდარიყო, რომელმაც ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ერთხელაც საგარეჯოში დავამთავრე ობიექტი, 53 დღე და ღამე მარტოკამ ვიმუშავე და დანარჩენები 80-დან 150 კაცამდე იცვლებოდნენ



ბრიგადები. ობიექტი ჩავაბარეთ, მჟავანაძე მოვიდა გახსნაზე, ორი კვირის შემდეგ კი მოვიდა „ობეხე“ და ჩემს ობიექტს დაადო ხელი, უნდა გავსინჯოთო. ყველაფერი მშვიდობიანად კი დავამთავრე, მაგრამ იმ დღის შემდეგ უარი ვთქვი მშენებლობაზე. მეორე დღეს გავიქეცი ცისიასთან და ვუთხარი, მშენებლობაზე მოვიბრუნე ქუდი, აღარ მივალ ჩემს სიცოცხლეში, მიშველე რამე-მეთქი.

***— „ობეხემ“ ასე შეგაშინათ?***

— „ობეხეში“ საშიში პიროვნებები იყვნენ. მე რომ მშენებლობაზე ვყოფილიყავი, ციხეში ვიქნებოდი, არა მარტო ამ საქმისთვის, არამედ შემდგომისთვის.

***— დარღვევები გქონდათ?***

— ხელფასი ძალიან ცოტა იყო, უნდა რაღაცები გემაიმუნა, მასალას არ ვყიდიდით, რადგან კაპიკები ღირდა, ვინმეს თუ აჩუქებდი, კი ბატონო.

***— გამოდის, თეატრს შეეფარეთ?***

— მივხვდი, რომ თუ დროზე არ მოვიფიქრებდი რამეს, დავიღუპებოდი. არ მინდოდა ასეთი ცხოვრება, რა მინდოდა ციხეში?! ცისიამ დამაიმედა და მითხრა, ილია თავაძესთან ჩემი სიძე გიშუამდგომლებს, მაგრამ იცოდე, გალაკტიონი უყვარს და კონსტანტინე გამსახურდიაო. ორ კვირაში მართლაც მოვამზადე გალაკტიონის ლექსი და კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენადან“ გიორგი მეფის სიკვდილი. რომ მივედი, მკითხა, რა იციო, გალაკტიონი-მეთქი, ესიამოვნა, წამიკითხეო, წავუკითხე. პროზიდან რა იციო, კონსტანტინე გამსახურდია-მეთქი, ისიც წავუკითხე. ალბათ მოეწონა და თავისი წიგნი მომცა, სადაც წააწერა „ილია თავაძეს“, მიუტანე და ყველაფერი კარგად იქნებაო. რომ მივედი ილია თავაძესთან, მითხრა, კათედრის სხდომაზე მოდიო. მივედი დათქმულ დროს, დამთავრდა კათედრის სხდომა და გამოვიდნენ აკაკი ხორავა, მიშა თუმანიშვილი, რეზო მირცხულავა, მალიკო მრევლიშვილი, დოდო ალექსიძე, გუგული პატარიძე, ნუგზარ გაჩავა, ბაბულია ნიკოლაიშვილი, საშა მიქელაძე, სასწაული ხალხი. ილია თავაძე წინ მოდიოდა და დოდო ალექსიძეს უთხრა, ეს ის ყმაწვილიაო. შევედით მეცხრე აუდიტორიაში და წავუკითხე ჩემი მომზადებული პროზა და პოეზია, ეტიუდიც მომცეს, გავუკეთე, თავისუფალი ხარო, მითხრეს, მერე შევიდნენ ილია თავაძესთან, რამდენიმე წუთში კი მდივანმა დამიძახა, ილია თავაძე გეძახისო. შევედი და მეუბნება, გადმოიტან ჩვენთან საბუთებსო, სიხარულით-მეთქი, ვუთხარი და გადავედი თეატრალურ ინსტიტუტში.

***— რომ არა „ობეხეს“ შემთხვევა, თეატრში არ იქნებოდით?***

— არა, რა თეატრი, ვიქნებოდი ციხეში. მიუხედავად იმისა, რომ ვმუშაობდი, არ გამომიტოვებია პრემიერები, მაგრამ მარჯანიშვილის თეატრში დავდიოდი სულ, აქ კორიფეები იყვნენ — ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი კვანტალიანი, სანდრო ჟორჟოლიანი, გიორგი შავგულიძე, სესილია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი. რომელი ერთი ჩამოვთვალო, სასწაული ხალხი მუშაობდა ამ თეატრში, ეს იყო ქართული კულტურის ნამდვილი გალერეა. რუსთაველის თეატრშიც იყვნენ კარგი მსახიობები, მაგრამ რატომღაც აქაურობა უფრო მიყვარდა.

***— რა შეგრძნება დაგეუფლათ, როცა თქვენთვის ესოდენ საყვარელი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი გახდით?***

— პირდაპირ მარჯანიშვილის თეატრში არ მოვსულვარ. ინსტიტუტში პირველი კურსის მეორე სემესტრიდან დავიწყე სწავლა. მეორე კურსზე რომ ვიყავი, გოგი ქავთარაძემ დადგა თავისი საკურსო სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“, სადაც ჯოყოლა ვითამაშე. ნახა რუსთაველის თეატრმა და არჩილ ჩხარტიშვილს მოვწონებივარ, დიდი რეჟისორი იყო. მესამე კურსი დავამთავრე, მეოთხეზე დაიწყო იქ „მოკვეთილი“ და დამიძახეს, ეს როლი კი ჩამითვალეს სადიპლომო სპექტაკლად.

***— რამდენი წელი იყავით რუსთაველის თეატრში?***

— სამი წელიწადი. „ანტიგონეშიც“ ვითამაშე, სერგო ზაქარიაძის შვილი ვიყავი, ზინა კვერენჩხილაძის — შეყვარებული. რუსთაველის თეატრში სხვა ფიზიკა გჭირდება, აუცილებელია გქონდეს სიმაღლე. ხმა კი მქონდა, მაგრამ იქ აღნაგობაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. 1970 წლის 12 მაისი იყო მახსოვს, რომ მოვედი მარჯანიშვილის თეატრში, გამსინჯეს და მიმიღეს. 42 წელია თეატრში ვარ.

***— როგორ გაიარა ამ 42-მა წელმა მარჯანიშვილის თეატრში?***

— გამოაკრავდნენ სპექტაკლის განაწილებას, ვნახავდი, რომ არ ვარ, ალბათ ვერ დამინახა რეჟისორმა-მეთქი, ვამბობდი ჩემთვის. არასოდეს გამიპროტესტებია, რატომ არ ვარ ამა თუ იმ სპექტაკლში-მეთქი. გამოაკრავდნენ განაწილებას და თუ ვიყავი, თავს შევაკლავდი ჩემს როლს, არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთავარი როლი იყო თუ ეპიზოდური. კოტე მახარაძე ჩემი უახლოესი მეგობარი იყო, რუსთაველის თეატრში კოტეს უბრალოდ ვესალმებოდი, მაგრამ როცა ისიც გადმოვიდა მარჯანიშვილის თეატრში, მაშინ უფრო დავმეგობრდით. „დონ კარლოსი“ იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრში და ირაკლი უჩანეიშვილი თამაშობდა მთავარ როლს, მისი დუბლიორი ვიყავი, სამი თვის განმავლობაში ჩემთვის ჩუმად დავდიოდი რეპეტიციებზე და ჩემთვის რაღაცებს ვიწერდი. საუბედუროდ, ირაკლის მოუვიდა ავარია, დაიმტვრა და ვერ შეძლო სპექტაკლში მონაწილეობა. დამიძახეს, ირაკლის ავარია მოუვიდა და სპექტაკლში მის მაგივრად შენ უნდა შეხვიდეო. 22 რეპეტიციაში შევედი სპექტაკლში და ვითამაშე დონ კარლოსი. ამ პერიოდში მე და კოტე დავძმაკაცდით, მართალია 11 წლით უფროსი იყო ჩემზე, მაგრამ უმაგრესი ადამიანი იყო. განაწილდა „ურიელ აკოსტა“, ქალბატონმა ვერიკომ აღადგინა, ამ გენიალურ სპექტაკლშიც მოვხვდი. ამ სპექტაკლიდან ჩამოყალიბდა ჩვენი მეგობრობა — სოფიკო, კოტე და ჩემი ოჯახი. ქალბატონი ვერიკო რომ შემოვიდოდა თეატრში, კედელს ვიყავი აკრული, მაგრამ ოჯახში სულ სხვანაირი იყო, გადასარევი პიროვნება. კოტემ გახსნა ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო“, სულ მეხვეწებოდა, გააკეთე ბიჭო რამეო. თვითონ კოტემ ჯერ კიდევ მეტეხის თეატრში გააკეთა სპექტაკლი ილია ჭავჭავაძეზე „ილია“. მერე კი მისი ცნობილი სპექტაკლებიც დაიბადა.

***— ერთი მსახიობის თეატრში ძირითადად მონოსპექტაკლები იდგმებოდა. ეს ხომ არ გაშინებდათ? რატომ არ თამაშობდით მონოსპექტაკლში?***

— რა ვიცი, ეტყობა შიში მქონდა. ლიტერატურული მასალის ძიება არ ვიცი. რომც ვიპოვო, მერე ვის უნდა ვეხვეწო, მოდი, ეს გააკეთე-მეთქი. არ შემიძლია და მომკალით. გამოჩნდა ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი სიხარულიძე, ორკაციანი პიესა მაქვს და იქნებ ითამაშოთო. დავთანხმდი და თანაც სულ სიხარულით. ვიმუშავეთ და ეს სპექტაკლი ორი სეზონის განმავლობაში იდგმებოდა. იმის მერე ამეკვიატა, ერთკაციანი სპექტაკლი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, არ ვიცი ძებნა და არ შემიძლია ხვეწნა. თუ ვარ განაწილებული სპექტაკლში, ხომ კარგი, თუ არადა, ყველა კარგად იყოს. ასე არ ვიყავი განაწილებული სპექტაკლებში 1996 წლიდან 2004 წლამდე. რვა წელიწადი არაფერში არ ვიყავი დაკავებული.

***— საბოლოოდ როგორ გაბედეთ მონოსპექტაკლში მონაწილეობა?***

— როცა თეატრში მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა და ახალი თაობა, მითხრეს, ლევან წულაძე გიბარებთო. შევედი და მითხრა, ჩემი სტუდენტია, სპექტაკლს დგამს, თქვენ უნდიხართ და დაეხმარეთ, თვითონ მოსვლა მოერიდაო. მოვიდა პატარა ბიჭი და მითხრა, ბატონო მარლენ, პიესას მოგცემთ და იქნებ გაეცნოთო. მომაწოდა და მონოსპექტაკლი არ აღმოჩნდა?! რამდენი წელი მაწვალებდა იმაზე ფიქრი, რომ ერთკაციან სპექტაკლში თამაში მინდოდა. იმ დროს „ქაქუცა ჩოლოყაშვილს“ ვთამაშობდით, მეორე აქტში თავისუფალი ვიყავი, წავიკითხე პიესა ერთხელ, ორჯერ და მომეწონა, თან სამუელ ბეკეტი საოცარი მწერალია, ნობელის პრემიის ლაურეატი, დრამატურგიაში ახალი მიმდინარეობის წარმომადგენელი. შევხვდი რეჟისორს, დავიწყეთ მუშაობა და ორ თვენახევარში გაკეთდა ეს სპექტაკლი, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი ჩემს დამდგმელ ჯგუფს. ეს გახლავთ რეჟისორი ნიკა ლუარსაბიშვილი, მხატვარი და კოსტიუმების ავტორი სერგო შიფცი და მუსიკალური გამფორმებელი გიორგი ხოსიტაშვილი, ეს ბიჭები არიან დაუნდობლები თავიანთ საქმეში, პრინციპულები და მეგობრები. მე რა უფლება მქონდა, ამათ ენაზე არ მელაპარაკა, როცა ჩემთან მოვიდა „ახალი თაობა“?! აი, საიდან დავიწყეთ საუბარი და სად მოვედით. ახალ თაობას ყოველთვის უნდა აყვე, თუ ცდება, უნდა უთხრა, თუ არ ცდება, უნდა ენდო. ვისაც წარსული არ მოსწონს, იმას მომავალი არა აქვს. ეს ჩემი ნათქვამი არ არის. იმ წარსულიდან რაღაც კარგი ხომ არსებობს, ნუთუ ყველაფერი ცუდი იყო? იმ ცუდის გადაგდება უნდა ამ ახალ თაობას. ჭეშმარიტება არის ახალ თაობაში. 17-18 წელი ვოცნებობდი მონოსპექტაკლში თამაშზე, შემთხვევით ხომ არაფერი ხდება?! ე.ი. საჭირო იყო ის პაუზაც, ის ოცნებაც, მთავარია, ადამიანმა ყურები არ ჩამოყაროს, მართალია ძნელია, მაგრამ მაინც უნდა ეცადო. ცხოვრება ხომ ბრძოლაა. ღმერთი გეუბნება, მე გაგაჩინე, შენ ცხოვრებისთვის იწვალეო. ეს ჩემი ოცნება ახდა 18 წლის მერე. ფრაზა მაქვს ამ მონოსპექტაკლში, რომელიც ყველამ უნდა გაითვალისწინოს — „უკანასკნელი ოცნებები... არსად გაუშვა!“ ახლა ჩვენი ერის ოცნება არ უნდა ახდეს? უნდა ახდეს იმიტომ, რომ ყველაფერი იწყება, ვითარდება და მთავრდება. ჩვენს ცხოვრებაშიც დროა, რაღაც ახალი დაიწყოს, რადგან ის ადამიანებს სტიმულს აძლევს.

***— თქვენი 45 წლიანი თეატრალური მოღვაწეობა დაგვირგვინდა ვარსკვლავის გახსნით, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის წინ გაიხსნა...***

— ამისთვის დიდი მადლობა ამ სცენას, ჩემს წინაპრებს, ყველას, ვინც ჩემი შრომა დააფასა. მჯერა, რომ ესეც შემთხვევით არ ხდება. სპექტაკლი „დეკამერონი“ მიდიოდა, კულისებში კოსტიუმში ჩაცმული ვიჯექი და 10 წუთში სცენაზე უნდა გავსულიყავი, როცა ცუდად გავხდი, ოფლმა დამასხა, ფეხები და ხელები დამიბუჟდა, ჩვენი მდივანი დავინახე და ვთხოვე, ვალიდოლი მომიტანე-მეთქი. ავდექი, თოკს მოვებღაუჭე, დამესიენ კოლეგები, წნევა გამისინჯეს, გასვლა მინდოდა სცენაზე, მაგრამ არ გამიშვეს, თურმე ფერი არ მქონდა. ისე ითამაშეს სპექტაკლი, ჩემი სცენა მთლიანად ამოიღეს. თურმე შაქარი მქონია და მე არ ვიცოდი. მეორე დღეს ექიმთან რომ მივედი, კარდიოგრამას შეხედა და მითხრა, მოციმციმე არითმია გაქვსო. როცა ანალიზები ჩავაბარე, აღმომაჩნდა შაქარი. შაქრის აპარატის ჩხირები უნდა მეყიდა, რომ დამირეკა დათო ქირიამ, კულტურის მინისტრის მოადგილემ, თქვენი ვარსკვლავის გახსნა გვინდა და თქვენი პასუხი გვაინტერესებს, შეთანხმებული ვართ ნიკოლოზ რურუასთან, ეკა მაზმიშვილთან, ლევან წულაძესთან და თქვენი პასუხიც გვჭირდებაო. რა პასუხი, დამანებეთ თავი-მეთქი, მეგონა ვიღაცა მაშაყირებდა. ჩემი ვარსკვლავი რად გინდათ, კორიფეების ვარსკვლავები არ გაქვთ, ბარელიეფები მაინც გააკეთეთ კედლებზე-მეთქი. ეს კარგი იდეაა და განვიხილავთო. იდეა თუ კარგია, საავტორო უფლება არ დამიკარგოთ, მადლობის მეტი რა მეთქმის-მეთქი. კარგით, კარგით და შევხვდებით კიდევო. ვიფიქრე, ეს ალბათ პაატა გულიაშვილია, ალბათ მაიმუნობს და თავის გადაცემაში უნდა მახეში გამაბას-მეთქი. თან იმ პერიოდში დურუჯზე ვიყავი წარდგენილი ამ მონოსპექტაკლით. მთელი ჩემი ყურადღება იქით იყო გადატანილი. რეჟისურამ გაიმარჯვა, ნიკა გახდა წლის საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი და კულტურის სამინისტრომ 10 ათასი ლარით დააჯილდოვა. „კრეპის უკანასკნელი ფირი“ მონოსპექტაკლია, ამიტომ ეს ყველას გამარჯვებაა. ჩემი და დავით ქირიას სატელეფონო საუბარი კი „დურუჯამდე“ სამი დღით ადრე შედგა. ის სატელეფონო საუბარი აღარ მახსოვდა, რადგან შაყირი მეგონა. მოვიდა მარჯანიშვილის თეატრის მმართველი ეკა მაზმიშვილი და მითხრა, თქვენი ვარსკვლავის გახსნაა გადაწყვეტილიო. რა ვარსკვლავი, იცი, რომ ეს შაყირია-მეთქი. არა, რა შაყირი, 25 მაისს არის დაგეგმილი გახსნაო. გული ამიფართხალდა, რა პაატა გულიაშვილი, თურმე სიმართლე ყოფილა. მადლობა იმ თაობას, ვის ხელშიც გავიზარდე. 42 წელიწადი მე ვიზრდებოდი, თითოეული სპექტაკლი არის სადისერტაციო ნაშრომი, ურთულესია თეატრი, 80-მდე როლი მექნება ნათამაშევი და ღმერთის წინაშე ვამბობ, როლი არ ჩამიგდია, აგდებით არც ერთ ჩემს პერსონაჟს არ მოვკიდებივარ. ყველა სპექტაკლში ვდებ ჩემს სიცოცხლეს, რაც შემიძლია. ჩემთვის ვარსკვლავის გახსნა წარმოუდგენელი იყო, რადგან ეს ნამდვილად დიდი პატივია, ისეთი რამ მოხდა, რომ არც ვიოცნებებდი. ნიკოლოზ რურუა და დავით ქირია იყვნენ სპექტაკლზე და როცა ვარსკვლავის გახსნაზე გავედი, მითხრეს, რომ იმ ბარელიეფებს ჩაეყარა საფუძველი და გთხოვთ ეკა მაზმიშვილთან ერთად კულტურის სამინისტროსთან ითანამშრომლოთო. გესმით, ეს რას ნიშნავს?! ახალმა თაობამ უნდა იცოდეს ის ადამიანები, ვინც ამ თეატრის ნამდვილი კორიფეები იყვნენ, 80 წლის თეატრია და არაერთი ვარსკვლავი ჰყავდა. 83 წელია „ურიელ აკოსტას“ ვთამაშობთ, ამ სპექტაკლში მსახიობთა უკვე მეხუთე თაობა თამაშობს. ჩვენზე დიდი თეატრები არიან, მაგრამ 80 წელი თეატრისთვის ცოტა ნამდვილად არ არის.

# ქართველი კაპიტნის ამერიკული ჩანახატი

**საქართველოს ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია „ატლანტა ჰოუქსს“ პლეი ოფში ვერ დაეხმარა, ფეხი აწუხებდა. ამის გამო ჩვენი კაპიტანი ეროვნულ ნაკრებს გვიან შეუერთდა. თუმცა, მანამდე გამოცემა „ჰუპსვორლდმა“ ჩვენებურს ვრცელი სტატია მიუძღვნა.**

### კალათბურთელი, ბიზნესმენი, მეოჯახე

ჟურნალისტი დავიდ რუისი პუბლიკაციას შეკითხვით იწყებს: ვინ არის ზაზა ფაჩულია? თავადვე პასუხობს:

– „ატლანტა ჰოუქსის“ ცენტრია. თუმცა მხოლოდ ცენტრი როდია – ქალაქ ატლანტის ერთ-ერთი გამორჩეული მკვიდრია. ქართველი კალათბურთელი „ატლანტას“ 2005 წელს შეუერთდა და მას მერე ეს ქალაქი მისთვის მეორე სამშობლოდ იქცა. 28 წლის ზაზა კალათბურთელიცაა, ბიზნესმენიც და მეოჯახეც.

მან სახელი საქვეყნოდ 2008 წელს გაითქვა, როცა ნბა-ს პლეი ოფში სუპერვარსკვლავ კევინ გარნეტს გაექაჩა და არაფერი დაუთმო. მას მერე ქართველმა მტკიცე მცველისა და კარგი მომხსნელის რეპუტაცია შეიძინა.

2011-12 წლების სეზონში „ატლანტის“ სასტარტო ცენტრმა ელ ჰორფორდმა მხრის ტრავმა მიიღო, რის შემდეგ მისი ადგილი ზაზა ფაჩულიამ დაიკავა და საშუალოდ 7.8 ქულასა და 7.9 მოხსნას აგროვებდა. „ატლანტამ“ რეგულარულ ეტაპზე 66-დან 40 მატჩი მოიგო და პლეი ოფში ზედიზედ მეხუთედ ითამაშა.

– მწვრთნელები და თანაგუნდელები ჩემგან მოედანზე ენერგიის შეტანას, ფარქვეშ მტკიცედ დგომას ელიან. დიდი პასუხისმგებლობა მეკისრება ისეთი ცენტრების მეურვეობისას, როგორიცაა დუაით ჰოვარდი. ვცდილობ, გუნდს ბოლომდე გამოვადგე, – ამბობს ფაჩულია.

### კემპი

იგი საკალათბურთო კარიერის პარალელურად მომავალზეც ფიქრობს. ქართველმა ცენტრმა ერთი კვირა დაუთმო „ატლანტა ჰოუქსის“ მიერ ორგანიზებულ ბავშვთა საზაფხულო კემპს, ხოლო მომდევნო კვირას ჩრდილოეთში გაფრინდა და ჰარვარდის უნივერსიტეტში ბიზნესსემინარს დაესწრო.



– ვფიქრობ, გამოცდილებითა და სპეციალური განათლებით დადებითი შედეგის მიღება შეიძლება, თუნდაც ისე, როგორც კემპისას: მართალია, ღონისძიებას მწვრთნელის სტატუსით ვესწრებოდი, მაგრამ ახალგაზრდებთან და სხვა მწვრთნელებთან ურთიერთობაში მეც ბევრი ვისწავლე. ასევე ღირებულია პროფესორ-მეცნიერებისგან მიღებული ცოდნა, – აცხადებს კალათბურთელი.

– ჩვენი კემპისთვის სწორედ ფაჩულიასნაირი კალათბურთელი გვჭირდებოდა. მას საკმარისი გამოცდილება აქვს და ახალგაზრდებთან ურთიერთობაც შეუძლია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოედნის გარეთ სისულელეებს არ ჩადის, – კმაყოფილია საზაფხულო კემპის ორგანიზატორი კიმ კოულმენი.

– მახსოვს, ნბა-ს ერთ-ერთი კემპისას ვლადიმერ სტეფანიამ რჩევა მომცა, რომელიც დღესაც ნათლად მახსოვს. იმედი მაქვს, ჩემი სიტყვები პატარა კალათბურთელებს მომავლისთვის გამოადგებათ. ყოველთვის ვცდილობ, ახალგაზრდებს საკუთარი გამოცდილება გავუზიარო. საქმე ხომ ჩვენს მომავალს ეხება, – ეს სიტყვები კი ფაჩულიას ეკუთვნის.

### ბიზნესი

ზაზა სემინარებს ბიზნესის თემაზე აქამდეც დასწრებია, თუმცა ამას მხოლოდ სამომავლოდ როდი აკეთებს – სადღეისოდ ატლანტაში მართავს საკუთარ რესტორანს.

### ტრავმა

სამწუხაროდ, ვერანაირი გათვლა ვერ აღუდგება წინ ტრავმებს, რომლის გამოც ზაზა ფაჩულიამ „ბოსტონ სელტიქსთან“ მნიშვნელოვანი სერია ვერ ითამაშა. ეს მტკივნეული საკითხია 210 სმ სიმაღლის ცენტრისთვის:

– სამწუხაროა, რომ ტრავმა მაინცდამაინც სეზონის ბოლოს მივიღე. ყველა სპორტსმენი მაქსიმალურად ემზადება იმ მომენტისთვის, როცა გუნდს ყველაზე მეტად სჭირდება. დასანანია, რომ ტრავმის გამო სწორედ პლეი ოფის გამოტოვება მომიწია. თუმცა, ვერაფერს შევცვლით, ეს ცხოვრებისა და თამაშის ნაწილია, – ამბობს ქართველი კალათბურთელი.

გასული სეზონი ზაზა ფაჩულიასთვის ორმაგად შეკვეცილი იყო: ჯერ ლოკაუტმა ჩამოაჭრა ათეულობით თამაში, შემდეგ ტრავმის გამო ქართველი კალათბურთელი გუნდს ბოლო შეხვედრებში ვეღარ დაეხმარა. იგი იმედოვნებს, რომ „ატლანტაში“ კონტრაქტის მიხედვით დარჩენილ ბოლო სეზონში 82-ზე მეტ მატჩს ჩაატარებს. რეგულარულ ეტაპზე სწორედ 82 შეხვედრაა. ამას პლეი ოფი უნდა მოჰყვეს...

– ატლანტა ჩემი სახლია. შვიდი წელია, აქ ვცხოვრობ. დიდ პატივს ვცემ ყველა ატლანტელს, გუნდის ქომაგს და ძალიან მინდა „ჰოუქსში“ დარჩენა. თუმცა, ისიც კარგად მესმის, რომ კალათბურთი ბიზნესია. 2013 წლის ზაფხულში გუნდთან კონტრაქტი მიმთავრდება და შეიძლება, სხვაგან მომიწიოს გადაბარგება. ეს რთული იქნება, მაგრამ მთავარია, რომ ჯერ აქ ვარ და „ატლანტის“ მაისურით კიდევ ერთ სეზონს ჩავატარებ. იმედი მაქვს, საინტერესო სეზონი გამოვა და გუნდი წარმატებით იასპარეზებს, რაშიც ჩემი წვლილიც იქნება, – ასეთია ფაჩულიას იდეაფიქსი.

# „დილამ“ იმედი შემოინახა

**„დილა“ – ორჰუსი 3:1**

***0:1 სკენდერი (34ს.კ.), 1:1 ვაწაძე (62), 2:1 შაშიაშვილი (74), 3:1 ვაწაძე (83)***

**დილა:** სკენდერი, შაშიაშვილი, სალუქვაძე, ონიანი, კვირკველია, შოთა კაშია (ბეჭვაია 27), შოთა გრიგალაშვილი, გოგუა (მოდებაძე 77), ალადაშვილი (ახალკაცი 57), გურული, ვაწაძე.

**„ორჰუსი“:** რასმუსენი, კირკესკოვი, ჰოლანდი, სორინი, ეკერსლი, ნორეგაარდი, სლოტი, იორგენსენი, ახარაზი (პეტერსენი 65), დევდარიანი (ლარსენი 71), იოჰანსონი (გრაულუნდი 42)

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართულმა გუნდმა ზედიზედ ორჯერ მოახერხა და ჩამორჩენის შემდეგ მატჩი მოიგო. „დილამ“ ჯერ ორჰუსში მოიგო 2:1, შემდეგ კი შინაც იმარჯვა – 3:1 და ორი მატჩის ჯამში შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე ჩვენთვის კარგად ნაცნობი კვიპროსული „ანორთოსისი“ იქნება.

მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო. გორელები შებოჭილად გამოიყურებოდნენ, დანიელები კი – უფრო აქტიურად, მაგრამ მოედანზე სასწაულებს ჩადიოდნენო, ვერც ამას ვიტყვით.

ეს, ალბათ, იმის ბრალიც იყო, რომ „დილა“ თითქმის საყრდენი ნახევარმცველების გარეშე თამაშობდა – ამ პოზიციაზე თემურ შალამბერიძემ შოთა კაშია და შოთა გრიგალაშვილი გაამწესა, რომლებსაც უფრო შეტევითი ორგანიზება ეხერხებათ, ვიდრე ჩაშლა. სწორედ მოედნის ცენტრში უკეთესი, მარტივი, მაგრამ სწორი ფეხბურთის გამო იყო, რომ დანიელები უპირატესობას ფლობდნენ.

ეს კარგად წაიკითხა გორელთა მწვრთნელმა და 27-ე წუთზე კაშია გიგა ბეჭვაიათი ჩაანაცვლა. თამაში თითქოს გათანაბრდა და გოლიც სწორედ ამ დროს მივიღეთ.

34-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ადამ ეკერსლის მიუგორდა, რომლის ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთმა რამდენიმე რიკოშეტი გააკეთა, რის გამოც უკვე საპირისპირო მიმართულებით მოძრაობაგაკეთებულმა მარინ სკენდერმა ვერ შეიმაგრა და საკუთარ კარში მოჭრა – 0:1. უეფას ვებგვერდმა სწორედ მას ჩაუთვალა გოლი.

პირველ ტაიმში მთლად უსაქმოდ არც გორელები ყოფილან, თუმცა გამოსარჩევი მხოლოდ ორიოდე სახიფათო მომენტია, რომელიც სანდრო გურულმა შექმნა, თუმცა მისი კარში დარტყმული ბურთები მიზანს ასცდა.

მეორე ტაიმში კი მოედანზე სხვა „დილა“ ვიხილეთ – გუნდმა შეტევებს უხშირა და ის ფეხბურთი ითამაშა, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს მაყურებელს. კარგად ჩაერთვნენ თამაშში რომან ახალკაცი და ირაკლი მოდებაძე. მართალია, საშინელ სიცხეში ტემპი დაბალი კი იყო, მაგრამ დანიელთა დაცვის ასაწიოკებლად გორელთა მცირე-მცირე აფეთქებები საკმარისი იყო.

49-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან შეტევა გოგიტა გოგუამ წამოიწყო, რომელიც დავით კვირკველიამ გააგრძელა, საჯარიმოში ჩააწოდა და მათე ვაწაძემ ბურთის კარისკენ შეუჩერებლად გაგზავნა, მაგრამ ააცილა.

62-ე წუთზე დანიელებმა სახიფათო კონტრშეტევა წამოიწყეს, რომლის დაბოლოებას ოსამა ახარაზი ცდილობდა. ბურთი კარს ამ შემთხვევაშიც ასცდა.

გორელთა კონტრშეტევას კი ანგარიშის გათანაბრება მოჰყვა: გოგუამ ბოლომდე იბრძოლა, მარცხენა ფლანგზე გურული მოძებნა, რომელმაც ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა და ვაწაძემ მშვენიერი თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

ამის შემდეგ თამაში გორელების იყო, ხოლო 72-ე წუთზე ვიხილეთ ის, რაც მსოფლიო ფეხბურთშიც კი არასდროს მომხდარა – „დილის“ 4-მა მცველმა მეტოქის საჯარიმოში კომბინაცია გაითამაშა და გოლი გაიტანა. რა არის ამაში გასაკვირი? ამ დროს გორელთა ნახევარმცველები და თავდამსხმელები სადღაც მოედნის ცენტრში ტრიალებდნენ. გოლი კი ასე გავიდა – კვირკველიამ ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა, გიორგი ონიანმა თავით მეკარის ბაქანთან ჩააგდო, იქ ლაშა სალუქვაძემ ქუსლით გიორგი შაშიაშვილისკენ გადაამისამართა, რომელსაც მასპინძელთა დაწინაურება არ გასჭირვებია – 2:1.

მალე გორელებმა სტუმართა საჯარიმოსთან კიდევ ერთი ჩინებული კომბინაცია გაითამაშეს, მოდებაძემ მშვენიერი გადაცემით მეკარესთან პირისპირ ვაწაძე დატოვა და მან დუბლი შეასრულა – 3:1.

დარჩენილი წუთები ფორმალური გახდა და მატჩიც მშვიდ ტემპში ჩამთავრდა.

### მატჩის შემდეგ

**თემურ შალამბერიძე, „დილის“ მთავარი მწვრთნელი:**

– ჩვენი მიზანი იყო, პირველ ტაიმში ბურთი არ გაგვეშვა, დაცვიდან ამიტომ ვთამაშობდით. მაგრამ ამ ტაქტიკამ არ გაამართლა და მეორე ნახევარში უფრო შემტევი ფეხბურთი ვაჩვენეთ. მადლობელი ვარ ბიჭების, რომლებმაც თავდადებით ითამაშეს... მათე ვაწაძემ მეორე ყვითელი ბარათი კი მიიღო, მაგრამ უეფას ახალი რეგლამენტით, შემდეგ შეხვედრას ფეხბურთელი მხოლოდ მესამე ყვითელი ბარათის შემდეგ გამოტოვებს. ასე რომ, მათე „ანორთოსისთან“ ითამაშებს.

**პეტერ სორენსენი, „ორჰუსის“ მთავარი მწვრთნელი:**

– ძლიერი მოწინააღმდეგე შეგვხვდა, რომელთანაც ბრძოლა გვსურდა, მაგრამ ვერ შევძელით, მეტოქემ დღეს გვაჯობა. ალბათ, იმიტომაც, საგოლე მომენტები რომ ვერ გამოვიყენეთ.

# ოლიმპიადა ვაჟებმა სენსაციებით დაიწყეს

**ვაჟთა საფეხბურთო ნაკრებებს შორის ოლიმპიურ თამაშებზე ბლომად სენსაცია დაფიქსირდა, თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.**

ა ჯგუფში, მანჩესტერში, „ოლტრაფორტზე“ დიდი ბრიტანეთის ნაკრებმა სენეგალის ძლევა ვერ მოახერხა. აფრიკელებმა მასპინძლებს ტოლი არ დაუდეს. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელები მე-20 წუთზე ვეტერანი უელსელი ფორვარდის კრეიგ ბელამის გოლით დაწინაურდნენ, შემდგომში სენეგალელები გააქტიურდნენ. ბრიტანელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, რომელთაგან ერთი 82-ე წუთზე გოლად აქციეს. მისი ავტორი კი მუსა კონატეა. საბოლოოდ ფრე – 1:1.

ერთი საინტერესო დეტალიც: მატჩის წინ ბრიტანეთის სამეფო ჰიმნის, „ღმერთო, დაიფარე დედოფალი“, შესრულებაზე გუნდის უელსელმა კაპიტანმა რაიან გიგზმა და მისმა თანამემამულეებმა – ჯო ალენმა, კრეიგ ბელამიმ და ნილ ტეილორმა უარი განაცხადეს. ბრიტანელთა მთავარი მწვრთნელი სტიუარტ პირსი მომხდარში უჩვეულოს ვერაფერს ხედავს. პირსის თქმით, ჰიმნის შესრულება უშუალოდ ფეხბურთელის პირად სურვილზეა დამოკიდებული.

ა ჯგუფის ლიდერად კი ურუგვაის ნაკრები იქცა. თავდაპირველად ისმაელ მატარის 23-ე წუთზე გატანილი გოლით საამიროები ურუგვაელებთან შეხვედრაში დაწინაურდნენ. თუმცა პირველივე ტაიმში, 42-ე წუთზე „ბოლონიის“ ნახევარმცველმა გასტონ რამირესმა აღადგინა წონასწორობა. მეორე ტაიმში კი სამხრეთამერიკელებმა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა გოლად აქციეს. 56-ე წუთზე ასევე ნახევარმცველმა ნიკოლას ლოდეირომ თავისიანებს გამარჯვება მოუტანა – 2:1.

ბ ჯგუფშიც სენსაცია მოხდა. ნიუკასლში, „სენტ ჯეიმს პარკზე“ ფავორიტად შერაცხული შვეიცარია გაბონთან შეხვედრაში უკვე მე-5 წუთზე დაწინაურდა. აფრიკელთა კარში დანიშნული პენალტი ადმირ მეჰმედმა უზადოდ შეასრულა. თუმცა, ეს იყო და ეს. ამის შემდეგ უპირატესობას გაბონი დაეუფლა და ტაიმის ბოლო წუთზე პიერ-ემერიკ ობამეიანგმა ანგარიშში თანაფარდობა აღადგინა. მეორე ტაიმში მცირე უპირატესობას ისევ აფრიკელები ფლობდნენ, ბოლოს მოედანზე რიცხობრივ უმრავლესობაშიც დარჩნენ, რადგან მოედნიდან ოლივერ ბუფი გააძევა, მაგრამ ამ უპირატესობის გამოყენება ვერ მოახერხეს – 1:1.

პირველი ტურის შემდეგ ბ ჯგუფს ლიდერი არ ჰყავს. ოთხივე გუნდის აქტივში ჯერჯერობით თითო ქულაა, რადგან მექსიკისა და სამხრეთ კორეის გუნდებმა ასევე ფრედ ითამაშეს.

აზიელები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, 11-ი კუთხურიც მოაწოდეს, თუმცა კარის ჩარჩოში ბურთი საერთოდ ვერ მოახერხეს, ისევე, როგორც მექსიკელებმა და საბოლოოდ მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდა.

კარდიფში, „მილენიუმზე“ პირველი მატჩი ბრაზილიამ ისე დაიწყო, როგორც მათ შეეფერებათ. ტურნირის მთავარი ფავორიტი ეგვიპტის ნაკრებს 30-ე წუთისთვის 3:0-ს ანადგურებდა. გოლები რაფაელმა, ლეანდრო დამიაომ და ბრაზილიელთა ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეულმა ნეიმარმა გაიტანეს. ეგვიპტელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი მძიმე დასაწყისის შემდეგ მრისხანე მეტოქეს არ შეუშინდნენ. ბრაზილიელებმა კი, ეტყობა, ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება და ამისთვის კინაღამ დაისაჯნენ – მოჰამედ აბუტრიკასა და მოჰამედ სალაჰის გოლებით ეგვიპტელებმა სხვაობა ანგარიშში მინიმუმამდე შეამცირეს და 2:3 დამარცხდნენ.

ქოვენთრიში, „რიკო არენაზე“ ბელორუსთა ნაკრებმა პირველი გამარჯვება მოიპოვა ოლიმპიადების ისტორიაში. თუმცა, აქამდე რომ არ იმარჯვა, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ საერთოდაც პირველად თამაშობენ ამ ფორუმზე. მისი მეტოქე, ახალი ზელანდია, უმეტესად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. მატჩი ბელორუსთა სრული უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გოლით „ბატეს“ შემტევი დმიტრი ბაგა გამოირჩა და მინიმალური ანგარიშით იმარჯვა – 1:0.

ვაჟ ფეხბურთელთა ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა, ესპანეთის ნაკრებმა კი იაპონიასთან წააგო. დ ჯგუფის მატჩი გლაზგოში გაიმართა და „ჰემპდენ პარკზე“ იაპონელები 34-ე წუთზე გლადბახელთა ნახევარმცველ იუკი ოცუს გოლით დაწინაურდნენ. ესპანელთა მდგომარეობა ტაიმის მიწურულს ბილბაოს მცველ ინიგო მარტინესის გაძევებამ დაამძიმა. მეორე ტაიმში კაცნაკლულმა ესპანეთმა იაპონელთა მასირებულ დაცვას ვერაფერი მოუხერხა და დამარცხდა – 0:1.

დ ჯგუფის მეორე მატჩი ჰონდურასისა და მაროკოს ნაკრებებს შორის უხვგოლიანი გამოდგა – 2:2. ფავორიტად მიჩნეულმა აფრიკელებმა ტაიმი აბდელაზიზ ბარადას მიერ 39-ე წუთზე გატანილი ულამაზესი გოლით მოიგეს. მეორე ტაიმის დასაწყისში ჰონდურასელებმა უპირატესობა ხელთ იგდეს. 55-ე წუთზე ჯერი ბენგტსონმა გაათანაბრა, 64-ზე კი მანვე ზუსტად შესრულებული პენალტით თავისი გუნდი დააწინაურა. თუმცა, სამიოდე წუთში ზაკარია ლაბიადმა საკუთარი გუნდი მარცხისაგან იხსნა – 2:2.

აღსანიშნავია, რომ 72-ზე მაროკოელი ზაკარია ბერგდიშის გაძევების შემდეგ გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ დამამთავრებელ ფაზებში ვერ ივარგეს.

# ლოგიკური მარცხი

**პლზენი – მეტალურგი 2:0**

***1:0 დურიში (7), 2:0 დარიდა (10)***

**პლზენი:** ბოლეკი, ლიმბერსკი, სევინსკი, პროჩაზკა, რაიტორალი, ჰორვატი, დარიდა, მალაკიანი (რეზნიკი 77), კოლარი (ჰანუშეკი 83), ფილო (ჰორა 63), დურიში

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, კაკუშაძე (ლობჟანიძე 46), სუხიაშვილი, ჯაფარიძე, მახვილაძე, ინწკირველი, მაისურაძე, დობროვოლსკი, გეწაძე (ქავთარაძე 74), მიქაბერიძე, ტატანაშვილი (სიხარულიძე 61)

მატჩის ბედი ერთი კვირის წინ გადაწყდა თბილისში, სადაც ჩეხებმა 3:1 მოიგეს და მეორე მატჩს მხოლოდ ფორმალური სახე მისცეს.

თუმცა, „მეტალურგმა“ თამაში აქტიურად დაიწყო – პირველად დიმიტრი ტატანაშვილმა დაარტყა კარისკენ, მაგრამ არაზუსტად. შემდეგ რევაზ გეწაძე აქტიურობდა და მხოლოდ კუთხური გამოიმუშავა.

მასპინძლებმა მალევე აგრძნობინეს მეტოქეს, თუ ვინ იყო მოედანზე ბატონ-პატრონი. დურიშმა და დარიდამ 3-წუთიან მონაკვეთში ბედიაშვილს ორი ბურთი გაუტანეს და კიდევ უფრო მოკლეს მატჩის ინტრიგა.

29-ე წუთზე გრიგოლ ბედიაშვილს მოუხდა მიხალ დურიშის დარტყმის მოგერიება და სულ ეს იყო – პირველ ტაიმში არც რუსთაველთა მეკარეს ჰქონია საქმე და მით უმეტეს – არც „პლზენის“.

59-ე წუთზე „პლზენის“ ყოფილმა თავდამსხმელმა ტატანაშვილმა კიდევ ერთხელ სცადა გატანა, მაგრამ მეკარემ აუღო. ხუთ წუთში დენის დობროვოლსკიმაც სცადა ბედი, მაგრამ კარს ააცილა.

ბედიაშვილმა ერთხელაც იყოჩაღა – შეცვლაზე შესულ იაკუბ ჰორას არ დაანება გოლის გატანა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ვიეტნამმა რუსეთს სამხედრო ბაზების განთავსებაზე უარი უთხრა

ვიეტნამის ხელისუფლებამ შეიძლება პორტ კამრანში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესაძლებლობა მისცეს რუსეთს, რაც შეეხება სამხედრო ბაზებს, „არც ერთი სახელმწიფო უცხო სახელმწიფოს ამაზე არ დათანხმდება.

რაც შეეხება რუსეთ-ვიეტნამის ურთიერთობებს, ის ჩვეულებრივად განვითარდება და გაგრძელდება. მათ შორის სამხედრო თანამშრომლობაც, – ეს განცხადება ვიეტნამის პრეზიდენტმა ჩიონგ ტან შანგმა „გოლოს როსიის“ ეთერში გააკეთა.

შანგის განცხადებით, კამრანი ვიეტნამის ტერიტორიაა. „ვიეტნამი თავისი მიწების ერთადერთი პატრონია. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს – კამრანი ვიეტნამის პორტია, - განაცხადა პრეზიდენტმა. ცოტა ხნის წინ, რუსეთმა განცხადება გააკეთა, რომ მას



სამხედრო ბაზების დაბრუნება სურს კუბაში, ვიეტნამსა და სეიშელის კუნძულებზე.

ვიეტნამთან და კუბასთან სამხედრო თანამშრომლობის გამოცდილება რუსეთს უკვე გააჩნია: ამ ქვეყნებში ბაზები საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა განთავსებული. მათი ლიკვიდაცია, ბიუჯეტის შემცირებასთან იყო დაკავშირებული. თუმცა ექსპერტებს ახლაც ეჭვი ეპარებათ, რომ რუსეთის ბიუჯეტი საზღვრებს გარეთ ბაზების შენახვას შეძლებს.

– უახლოესი წლების განმავლობაში რუსეთმა კუბასა და ვიეტნამში, შესაძლოა, სამხედრო ბაზები დაიბრუნოს. ამასთან, მოლაპარაკებები მიმდინარეობს სეიშელზე რუსული ძალების განლაგების შესახებ, – განაცხადა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელმა ვიცე-ადმირალმა ვიქტორ ჩირკოვმა.

რუსეთმა ფაქტობრივად უკვე გადაწყვიტა კუბასა და ვიეტნამში დაბრუნება, სადაც ადრე უკვე ჰქონდა ბაზები განლაგებული.

ფედერაციის უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელი ვიქტორ ოზეროვი მიიჩნევს, რომ ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ მიზეზებს.

რუსეთის განცხადებას ვიეტნამის ხელისუფლება სწრაფად გამოეხმაურა. ქვეყნის პრეზიდენტმა ჩიონგ ტან შანგმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ვიეტნამი რუსეთს უფლებას არ მისცემს, მისი ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ობიექტები განალაგოს:

– ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვითანამშრომლებთ არც ერთ ქვეყანასთან კამრანის ნავსადგურის სამხედრო მიზნით გამოყენების შესახებ. ვიეტნამი საკუთარი მიწის ერთადერთი ბატონია, – აღნიშნა პრეზიდენტმა, რომელმაც დაამატა, რომ ვიეტნამში საბჭოთა კავშირის ყოფილი ბაზა გემების შეკეთებისა და მომსახურების საერთაშორისო პუნქტად გადაკეთდება.

სამხედრო ექსპერტ ვლადიმერ ევსეევის თქმით, საქმე ეხება მხოლოდ „სრულიად სხვადასხვა ქვეყნებში ფლოტების განთავსებას“.

– ის რაც საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა, სრულიად არ სჭირდება რუსეთს. საბჭოთა კავშირს რეალურად შეეძლო ოპერაციის წარმოება თავის საზღვრებს გარეთ და გააჩნდა ესკადრა, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში მოქმედებდა. რუსეთის ფედერაციის ფლოტს კი, საზღვრებს გარეთ რაიმე ტიპის ოპერაციის წარმოება არ შეუძლია. ამასთან, ეს სანაპირო ფლოტია. სანაპირო ფლოტს კი უცხოეთის სამხედრო-საზღვაო ბაზები არ სჭირდება, – აღნიშნავს ექსპერტი.

# ევროპის ბანკი ყველაფერზე წავა, რათა ევრო შეინარჩუნოს

– ევროპის ბანკი ყველაფერზე წავა, რათა ევრო შევინარჩუნოთ. დამერწმუნეთ, ეს საკმარისი იქნება. ჩვენ მზად ვართ ასევე შევისყიდოთ პრობლემური ქვეყნების – იტალიისა და ესპანეთის სახელმწიფო ობლიგაციები, – განაცხადა ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა მარიო დრაგმა ლონდონში შეხვედრისას, რათა ევროპული ბაზრისთვის იმედი მიეცა.

დრაგის ამ განცხადების შემდეგ ესპანეთის ობლიგაციების ფასი 7%-ით დაეცა. ექსპერტები შიშობენ, რომ ცარიელი დაპირებებით ევროპის ბაზარი დიდხანს ვერ შენარჩუნდება.

ესპანეთის ეკონომიკის მინისტრი ლუის დე გინდოსი კი იმედს არ კარგავს და აცხადებს, რომ მას დრაგის ეს განცხადება არ გაკვირვებია.

– ჩვენ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი ჩვენი მომავლის გარანტორია. სწორედ ამიტომ არ გამკვირვებია ბატონი დრაგის ეს განცხადება, – აღნიშნავს გინდოსი.

ევრო ევროპის კავშირის ოფიციალური ვალუტა და ერთადერთი ფულადი ერთეულია 300 მილიონი ევროპელისთვის ევროგაერთიანების შემდეგ ქვეყნებში: ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, პორტუგალია, ესპანეთი და ესტონეთი, რომელსაც კოლექტიურად ევროზონასაც უწოდებენ.



ორმხრივი შეთანხმებების შედეგად ევრო ასევე ოფიციალური ვალუტაა შემდეგი არაწევრი ქვეყნებისთვის: მონაკო, სან-მარინო და ვატიკანი. ევრო დე-ფაქტო ვალუტაა ანდორაში, კოსოვოსა და მონტენეგროში.

ევრო მსოფლიო სავაჭრო ბაზრებზე, როგორც სააღრიცხვო ვალუტა, შემოვიდა 1999 წელს, ფიზიკური ბანკნოტები და მონეტები კი შემოღებულ იქნა 2002 წელს. ევროგაერთიანების ყველა ქვეყანას აქვს უფლება, შეუერთდეს ევროზონას იმ შემთხვევაში, თუ ისინი პასუხობენ გარკვეულ მონეტარულ მოთხოვნებს, ევროს გამოყენება ვალდებულებაა ევროკავშირის ყველა ახალი წევრისთვისაც.

ევროს მართავს და ადმინისტრირებას უწევს ფრანკფურტში მდებარე ევროპის ცენტრალური ბანკი (ეცბ) და ევროპის ცენტრალურ ბანკთა სისტემა (რომელშიც წევრ ქვეყანათა ცენტრალური ბანკები შედის). როგორც დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი, ეცბ-ს ერთპიროვნული უფლება აქვს მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის. ეცბ მონაწილეობს პანკნოტების ბეჭდვაში, მონეტების ჩამოსხმასა და მათ სისტემაში გავრცელებაში ყველა წევრ ქვეყანაში, ისევე, როგორც ევროზონის საგადამხდელო სისტემის ფუნქციონირებაში.

# ასადის რეჟიმი ალეპოში სისხლისღვრას გეგმავს

აშშ შიშობს, რომ ბაშარ ასადის რეჟიმი სირიის კომერციულ დედაქალაქ ალეპოში მასშტაბურ სისხლისღვრას გეგმავს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ ალეპოს მისადგომებთან ტანკების, ავიაციის და ვერტმფრენების გამოჩენა მსხვილმასშტაბიანი ოპერაციის მზადებაზე მეტყველებს.

ბი-ბი-სის ინფორმაციით, სირიელი ამბოხებულები შტურმის მოსაგერიებლად ემზადებიან და იარაღსა და მედიკამენტებს იმარაგებენ.



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ვიქტორია ნულანდი აცხადებს, რომ ადგილი აქვს კონფლიქტის „სერიოზულ ესკალაციას“.

„ჩვენი გულები ალეპოს მოსახლეობასთანაა. ის, რაც იქ ხდება, ეს განწირული რეჟიმის მორიგი მცდელობაა კონტროლის შესანარჩუნებლად“, – განაცხადა ნულანდმა.

ამავე დროს, ნულანდმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონი არ ჩაერევა კონფლიქტში და ამბოხებულებისთვის არასამხედრო დახმარების გაწევით შემოიფარგლება.

სირიის მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით კი, დაახლოებით 143 ადამიანია გარდაცვლილი ალეპოში. სიტუაცია ყოველ წუთას უკონტროლო ხდება. სამხედრო შეტაკებები გრძელდება ალეპოს რამდენიმე რაიონში. ადგილობრივი მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დამასკოში დილიდანვე ბრძოლები გაგრძელდა, თუმცა ამ წუთებში დედაქალაქის ძირითად ნაწილში სიჩუმეა. სირიაში მდგომარეობის გართულების გამო ქვეყანას გაეროს დამკვირვებლებიც ტოვებენ.

– კიდევ 30 დღე დაგვრჩა, ვნერვიულობთ იმაზე, რომ შეუძლებელია მოსახლეობის ტანჯვის მინიმუმამდე დაყვანა, – აცხადებს მისიის ახალი ხელმძღვანელი ბაბაკარ გაიე.

ტელეკომპანია „სქაი ნიუს არაბიას“ ინფორმაციით, სირიის დეპუტატმა ალეპოდან იხლას ბადავიმ ქვეყანა დატოვა და თურქეთში გაიქცა.

– მე აღარ შემიძლია ამ ტირანიის გაძლება, რომელიც საკუთარ ხალხს სჯის, - განაცხადა დეპუტატმა.

ეს არის პირველი დეპუტატი სირიის პარლამენტიდან, რომელმაც ქვეყანა დატოვა.

მანამდე ქვეყანა ათეულობით გენერალმა დატოვა და თავი თურქეთს შეაფარა. ბაშარ ასადის რეჟიმს რამდენიმე ელჩიც გადაუდგა.

„სქაი ნიუს არაბიას“ ინფორმაციითვე, ქალაქი ალეპო ათასობით მცხოვრებმა დატოვა, სადაც უკვე მეოთხე დღეა სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს.

ამ ფონზე, გაეროს უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებების საკითხში ნავი პილაიმ სირიის ხელისუფლებასა და ოპოზიციას ალეპოს მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ მოუწოდა.

– სამოქალაქო პირები და სამოქალაქო ობიექტები მათ შორის სკოლები, კერძო სახლები, ნებისმიერ დროს დაცული უნდა იყოს. ყველა მხარემ დარწმუნებით უნდა განასხვაოს ერთმანეთისაგან სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები, – აცხადებს პილაიმ.

გაეროს კომისარმა ამასთან შეშფოთება გამოთქვა გასულ კვირას ალეპოსა და ჰომსის ციხეებში პატიმართა მკვლელობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გამო. მისი თქმით, ეს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას წარმოადგენს.

არსებული ინფორმაციით, სირიის არმიამ ალეპოზე იერიში უკვე განაახლა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და აზტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავლისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯპტრდბაბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● ძალიან იაფად! მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის კარებით და ჟალუზებით, მუდმივი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 15 კმ-ში. საწყისი ფასი 35.000 დოლარი. შეიძლება განვადება - ჯერ 20.000, შემდეგ გრაფიკის სახით 15.000. ტელ.: 592-49-85-55; 595-47-85-55. გია.

### უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

